№ 203 1877—1905 № 203

პარასკევი, 11 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დაუბეჭდავი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ-წვრილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვს, პეტერბურგს და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
პარასკევს, 11 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება
ტრავიატა
ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ვერდისა, თარგმანი გუტხეილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნ გამანსკაია, კარპოვა, ზასლავსკაია; ბ ნნი გოდოტოვი, ვეკსიშვილი, ტამაშევიჩი, ვოლსკი, დემიანენკო, ფილიპოვი, შენი.
ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
კაპელმეისტერი ი. პ. ფალიაშვილი.
რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

შაბათს, 22 ნოემბერს ჩვეულებრივი ფასებით წარმოდგენილი იქნება „ზაზა" ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ლეონკოვალლოსი, თარგმანი გორჩაკოვისა.

წარმოსადგენად მზადდება „ჩერევიჩკი", ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ჩაიკოვსკისა, „გეიშა" ოპერეტტა სიდნეი ჯონსისა, ფიგაროს ქორწინება, მოცარტისა.
ბილეთები იყიდება.

საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
სურათებით
წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიას ბინაზე—ალექსანდრეს ქუჩა, № 5.

რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა 5 მან. 50 კ., ცალკე—სამ სამი მანეთი, ნახევარის წლით: ერთად [illegible] ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ. თვეში 50 [illegible] დიდთათვის [illegible] ნომერი მცირე წლოვანთათვის 15 [illegible] თვეში თითო 25. წლიურ ხელის მომწერთ [illegible] მანეთი შემოიტანონ [illegible] ლის ნომრები იყიდება სამ მანა[illegible] თაო [illegible] მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ".

რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიასი.
გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

სტუდენტი-უნივერსანტი
ეძებს გაკვეთილებს ან რამე საქმეს.
ალექსეევის ქუჩა № 10.

თანხმად ტრაქტირებზე გადასახადთა დებულების 34 და 41 § სა ტფილისის ქალაქის გამგეობა სთხოვს ტფილისის მეტრაქტირეებს გამოცხადდნენ გამგეობის შენობაში 1906 წლის ხარჯის გამწერ კომისიის წევრთა ამოსარჩევად.

უნდა გამოცხადდნენ შუადღის 12 საათზე შემდეგს დღეებში: ტრაქტირისა და დუქნების პატრონები—ნოემბრის 8 ს, სასტუმროების პატრონები—ნოემბრის 9 ს, რესტორანებისა, ბუფეტებისა და საკონდიტეროებისა—ნოემბრის 10 ს, ლუდხანებისა—ნოემბრის 11 ს, ღვინით მოვაჭრენი და სარდაფების პატრონები—ნოემბრის 12-ს, მოწყობილ სახლებისა, კუხმისტრებისა, ყავახანებისა და სახაიე პატრონები—ნოემბრის 13-ს, სანოვაგით მოვაჭრენი—ნოემბრის 14 ს და ბაკების პატრონები — ნოემბრის 15-ს — 1905 წლისა.

დოქტორი მედიცინისა
ვ. ი. ინაშვილი
მიიღებს შინაგანის, ქალების, და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, ნაშუადღევის პირველ საათიდან საღამოს 5 საათამდე.
ნიკოლოოზის ქუჩა, № 31, სახლი მადათოვისა.
(20—15)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ვორონცოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
უ. ვ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
ზ. აჯეტიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ბქლიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. $1—1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.
საღამოობით:
ვ. ა. ნავასარდიანი. $7—7\frac{1}{2}$ საათ.
ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. $7—7\frac{1}{2}$ საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევას.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ვ. ა. ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7, კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარკიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესორივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ხ. მუსხელიშვილი—[illegible]რონნი' და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი [illegible]სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფ[illegible] დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა [illegible]ბათის.

ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყო[illegible] კბილ[illegible] საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—[illegible] გაროზის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

ბრძანება

კავკასიის სამხედრო ოლქისადმი.

№ 297, 27 ოქტომბერს 1905 წ. ქ. ტფილისი.

22 ოქტომბერს ტფილისში სამწუხარო ამბავი მოხდა. პატრიოტულ პარტიას, რომელიც ვერის ხიდით და გოლოვინის პროსპექტით სასახლისკენ მოდიოდა, ბარიატინსკის ქუჩასთან ახლო-მახლო სახლებიდან სროლა დაუწყეს.

პროცესიას წინ უძღოდნენ ტფილისის საიუნკრო სასწავლებლის იუნკრები და ტფილისის კადეტთა კორპუსის კადეტები, რომელნიც საგრო ჰიმნს მღეროდნენ და წინ ხელმწიფის სურათი მიჰქონდათ.

მუხანათურმა, სროლამ,—მეფისადმი და ძვირფას სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებით გამსჭვალული პატრიოტები ვერ შეაჩერა.

როგორც ამ პარტიის ყველა მონაწილემ განაცხადა, იუნკრები და კადეტები თავიანთ გმირულ მამაცობითა და შეუდრეკელ სიმტკიცით ყველას ამხნევებდნენ: ისინი პროცესიის მონაწილეებს და უფრო კი დედაკაცებს და ბავშვებს ამშვიდებდნენ, იმათ სამაგალითო ვაჟკაცობით წინ მიჰქონდათ ჩვენი ხელმწიფე იმპერატორის სურათი და, თუმცა ტყვია სეტყვასავით მოდიოდა, მაგრამ მაინც არ შეუწყვეტიათ „ბოჟე ცარია ხრანი" სიმღერა.

ბოროტმოქმედთ პასუხი გასცეს იმ ჯარებმა, რომელნიც პატრიოტებს მოსდევდა და იმ ჯარებმაც, რომელნიც გოლოვინის პროსპექტზე იდგნენ. ამისთანა მდგომარეობაში მსხვერპლი აუცილებელი იყო და მეც დიდად ვწუხვარ ამის გამო.

ტფილისის კადეტთა კორპუსს მოუკლეს ამხანაგი **გმირი** შტაბს-კაპიტანი პროზოროვი, ხოლო მეხუთე კლასის კადეტი ვლასოვი, საბედნიეროდ, მსუბუქად დაიჭრა.

ტფილისის საიუნკრო სასწავლებლიდან **გმირულად** მოკვდა უფროს კლასის იუნკერი ლეონიდ ტისოვი.

კორპუსისთვის და საიუნკრო სასწავლებლისთვის ეს მძიმე დანაკლისია, მაგრამ ამავე დროს ეს დანაკლისი ამ სასწავლებლებისთვის სასახელოც არის. ორივე სასწავლებელმა უნდა დაიკვეხოს, რომ მათ ასეთი ვაჟკაცი ამხანაგები ჰყავდათ; ამავე დროს არ შემიძლიან, რომ თვით ეს სასწავლებლებიც არ ვაქო. სამწუხარო 22 ოქტომბერს კადეტებისა და იუნკრების ყოფა-ქცევა იმდენად უმწიკვლო და იმდენად დიადი იყო ზნეობრივის მხრით, რომელიც მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ზემოხსენებულ სამხედრო სასწავლებლების კედლებ შორის მამაცობის მაგალითი ინახება და, როგორც ჩანს, ამ მამაცობას ანვითარებს სასწავლებლების სასწავლო კორპორაცია და ადმინისტრაცია. ყველა იუნკერი და ყველა კადეტი თავიანთ სასწავლებლების სახელის დასაცველად და თავიანთ წმინდა მოვალეობის შესასრულებლად ამ სიმამაცეს ღრმად ითვისებს და ინერგავს.

სამართლიანად ვაქებ ტფილისის იუნკერთა სასწავლებლის სულიერ სიმტკიცესა და სიმამაცეს, რაიც 22 ოქტომბერს ასე ნათლად დამტკიცდა.

მაშ ეს სამწუხარო დღე კორპუსისა და საიუნკრო სასწავლებლის ცხოვრებაში ისტორიულ დღედ გადიქცეს და მაგალითად გაუხდეს ყველა მომავალ თაობას.

ხელს აწერს: მთავარსარდალი კავკასიის სამხედრო ოლქისა გენერალ-ადიუტანტი

გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

ნამესტნიკის კანცელარიის განცხადება.

„ამ ბოლო დროს ადგილობრივ გაზეთებში იბეჭდება მრავალი ცნობა ჯარების ამა თუ იმ ნაწილების შესახებ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 22 ოქტომბერს მომხდარ სამწუხარო ამბებში.

ამასთანავე პრესსა ივიწყებს იმ გარემოებას, რომ მხედრობას ნება არა აქვს გაზეთისავე საშუალებით უარ-ჰყოს გავრცელებული ხმები და თავი იმართლოს, ვინაიდან ზოგი ამ ამბავთაგანი მოჭორილია, როგორც, მაგალითად, ის ცნობა, ვითომც ჯარის-კაცებს გაეძარცვათ ის სახლები, რომელიც ჯარებმა დაიჭირეს მას შემდეგ, როცა უკვე აოხრებული იყო.

რადგანაც 22 ოქტომბერს მომხდარ ამბების გამოძიებას უკვე შეუდგნენ და ახლო მომავალში შედეგი ამ გამოძიებისა საზოგადოებასაც ეუწყება, ამიტომ ყოველგვარი წინასწარი ცნობა [illegible] ჩაითვალოს და პრესსამ და მკითხველმა საზოგადოებამ ყურადღება არ უნდა ათხოვოს."

საკვირველი მადლობა

22 ოქტომბერს ტფილისის ქუჩებში მომხდარ სისხლის ღვრის შესახებ ადგილობრივმა დამოუკიდებელმა პრესსამ თავისი გადაჭრილი აზრი უკვე გამოსთქვა და ამ საქმეში ბრალი დასდო ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომელმაც იმდენი უტაქტობა გამოიჩინა, რომ ხულიგნები პატრიოტების სახელით მონათლა, საზოგადოების ნაძირალთა ბრბოს ხალხის დარბევა აცალა და ჯარებიც ამ ბრბოს ხალხის საწინააღმდეგოდ გვერდში ამოუყენა... პრესსამ და საზოგადოებამ ადმინისტრაციისა და ჯარების ამნაირ ქცევაზე თავისი სამართლიანი გულის წყრომა გამოაცხადეს, რომელიც მით უფრო საგულისხმო იყო, რომ ჯარებს ხალხის დახოცვის გარდა, ბრალდებოდა მცხოვრებთა გაძარცვა, სახლების განადგურება...

ამ საშინელ ბრალდებაში ვერც ჯარმა და ვერც ადმინისტრაციამ თავი დღემდის ვერ გაიმართლეს,—და ან როგორ გაიმართლებდნენ?—ვერ გაიმართლეს თავი საიუნკრო სასწავლებლის მოწაფეებმაც, რომელთაც აბრალებდნენ სისხლის ღვრის მეთაურობას და ზოგან—ბარბაროსობას, როგორც, მაგ. გაზ. „ვოზროჟდენიეს" გაჩხრეკის დროს, სადაც თითქმის სკამიც არ დასტოვეს დაუმტვრეველი და სადაც ნაღდი ფულიც წაიღეს მათგანვე გატეხილ კასსიდან...

ადმინისტრაციაც სდუმდა,—საჯაროდ მაინც მას თავისი თავი არ გაუმართლებია და არ გამოუთქვამს, თუ რა თვალით უყურებს ამ ბარბაროსობას. მხოლოდ. გაზ. „კავკაზში" დაბეჭდილი იყო ქუჩებში მომხდარ ამბების აღწერა, რომელიც ზოგიერთ ნაწილში მაინც განზრახ შეთხზული სიცრუე გამოდგა.

ჯარებისა და ადმინისტრაციის სიჩუმე ვერ გააქარწყლებდა, რასაკვირველია, საზოგადოების ეჭვს და ვერ გაამართლებდა იმათ, ვისაც საზოგადოება დამნაშავედ ასახელებდა, ვინაიდან მათი დანაშაული ცხადზე უცხადესია; ვერ გააქარწყლებდა მას ის გამოძიებაც, რომელიც დაიწყო ხსენებულ ამბების გამო, რადგანაც ხალხი დარწმუნებულია, რომ ეს გამოძიება ნამდვილ დამნაშავეთ არ აღმოაჩენს და ეცდება მთელი საქმე ისევე ხალხს გადააბრალოს.

ამ რწმენას კიდევ უფრო განამტკიცებს ნამესტნიკისაგან 27 ოქტომბერს გამოცემული ბრძანება და მის კანცელარიის განცხადება (ორივე ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში არის დაბეჭდილი). კანცელარია თავის განცხადებით ცდილობს ჯარების ნამოქმედარის საჯაროდ გარჩევას ბოლო მოუღოს და პრესაში გამოთქმულ სხვადასხვა მძიმე ბრალდების ჯარების წარმომადგენელთაგან უპასუხოდ დატოვება ახსნას იმით, რომ აფიცრებს და ჯარის კაცებს ნება არა აქვთ დართული საგაზეთო პოლემიკაში მიიღონ რამე მონაწილეობა, თითქო ჯარისთვის სამარცხვინო იყოს, თუ კი ეს შესაძლებელია, თავიდან იმ საშინელ ბრალდების აცილება, რომელიც მათ შესახებ გამოსთქვა პრესსამ. ნამესტნიკის კანცელარია აცხადებს, ბრალდება ჯერ ნაადრევი არის, რადგანაც სიმართლეს გამოძიება გამოარკვევსო, მაგრამ ამასთან ერთად იგივე კანცელარია საჭიროდ სცნობს ახლავე გამოძიების დასრულებამდის, ჯარების შესახებ თავისი გადაჭრილი აზრი გამოსთქვას, რომ მათ ძარცვა-გლეჯასა და დარბევაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

რაკი კანცელარია, ამნაირად, ახლავე სცნობს შესაძლოდ ჯარების გასამართლებელი აზრი გამოსთქვას, პრესსასაც რჩება ზნეობრივი უფლება ჯარების შესახებ შეაგროვოს და გამოაქვეყნოს ყველა ის ფაქტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ჯარის კაცის ტანისამოსი არ სპობს თავის თავად ადამიანში ველურობასა და სიმხეცეს, და ამიტომ პრესსას არ შეუძლიან კანცელარიის განცხადება თავისთვის სავალდებულოდ მიიჩნიოს.

ბევრად უფრო საგულისხმოა ნამესტნიკის მეორე ბრძანება, რომელიც კადეტებსა და იუნკრებს ეხება; საგულისხმოა იმიტომ, რომ იგი ნათლად გამოხატავს იმას, თუ რა თვალით უყურებს მთავრობის უმაღლესი წარმომადგენელი იმათ, ვისაც საზოგადოება და პრესსა სისხლის ღვრაში პირდაპირ მონაწილეობის მიღებას აბრალებს.

ამ ბრძანებაში პატრიოტებად მონათლული არიან ისინი, ვისაც საზოგადოება და თვით რუსის ნამდვილი პატრიოტებიც ხულიგნებს ეძახიან. 22 ოქტომბერს, როდესაც გარეშე მოსეირნე ხალხი დახოცეს და გაძარცვეს, ქუჩაში მხოლოდ ეს „პატრიოტები" იყვნენ და ჯარები, რომლის მოქმედებასაც ნამესტნიკის ბრძანება „სამაგალითოს" ეძახის. ეს ბრძანება, საქმის გამოძიებამდის, გარკვევით აცხადებს, „პატრიოტებს" გარეშე ხალხმა ტყვია დაუშინაო, ატეხილ სრო[illegible] „სახელოვანად" მოკვდა კადეტთა კორპუსის [illegible] და დაიჭრა ერთი კადეტი, თუმცა ჯერ არავითარ გამოძიებას არ დაუმტკიცებია, ვისგან იყვნენ ესენი ასე „სახელოვანად" მოკლულნი. ეს ბრძანება ქება-დიდებას ასხამს იმ იუნკრებს, რომელნიც უდანაშაულო ხალხის დახოცვას მეთაურობდნენ, მადლობას უძღვნის იმათ, ვინც სხვადასხვა ადგილას მონაწილეობას იღებდნენ სახლების ბარბაროსულ განადგურებაში, რომელთაც მთელმა შეგნებულმა საზოგადოებამ ტფილისში თავისი აშკარა და გულწრფელი გულისწყრომა გამოუცხადა.

ამ ბრძანების წაკითხვა აშკარად ხდის იმას, თუ რა თვალით უყურებს 22 ოქტომბერს მომხდარ სისხლის ღვრას და ამ სისხლის ღვრაში ჯარების მონაწილეობას კავკასიის უმაღლესი მთავრობა.

რას უნდა მოელოდეს შემდეგში საზოგადოება იქ, სადაც სისხლის ღვრის მეთაურებს მთავრობისაგან მადლობა მოსდით? როგორ უნდა დაიჯეროს ხალხმა, რომ მთავრობა მართლაც სწუხს ამ სისხლის ღვრის გამო და გულწრფელად მონდომებულია ასეთ ამბების გამეორება შეუძლებლად გახადოს შემდეგში? ან როგორ მოიქცევა ჯარი ასეთსავე შემთხვევაში, თუ კი ეცოდინება, რომ ხალხის დახოცვისათვის, ძარცვა-გლეჯაში მონაწილეობის მიღებისათვის მას დასჯა კი არ მოელის, არამედ ქება და მადლობა?

აკი მართლაც ამ ბრძანების გამოცემის შემდეგ ტფილისიდან რკინის გზით მიმავალმა ჯარმა ძირულას სადგურზე ისევე უდანაშაულო ხალხი დახოცა და დუქნები გაძარცვა, როგორც ტფილისში, ისეთივე შეუბრალებლობა გამოიჩინა, როგორც ამ ბრძანების გამოცემის წინ და ცხადია, რომ იგი შემდეგშიაც ასევე მოიქცევა და მადლობის მისაღებად ეცდება, რაც შეიძლება მეტი ტყვია დასცალოს ხალხის გასაჟლეტად, რაც შეიძლება მეტი უდანაშაულო მცხოვრებელი გაძარცვოს.

ამ 27 ოქტომბერს გამოცემულ ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ ჯარებს ერთი ორად მართებთ თავის გამართლება, რომ ამითი მაინც დაამტკიცონ, რომ მათ არ უნდათ, ვინმემ დასწამოს სოლიდარობა ხალხის მკვლელ და ხალხის გამძარცველ ხულიგნებთან.

ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ ხსენებული ბრძანება რაღაც გაუგებრობაზეა აგებული რომ იგი სინამდვილის უცოდინარობით არის გამოწვეული, მაგრამ განა მიეტევება ასეთი უცოდინარობა უმაღლეს მთავრობას მაშინ, როდესაც ხალხი აღელვებულია და უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი სამართლიან მღელვარებას იწვევს?

ვარ. ფ—ი.

ღირსეული მზრუნველი

ორის აზრის აღარ შეიძლება ვიყვეთ თანამედროვე სახელმწიფოს მოწყობილობის შესახებ; დიდი ფიქრი და თავის მტვრევა არაა საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ თანამედროვე სახელმწიფო არის ბატონობის ორგანიზაცია. ბატონობის უღელი აწევს ყოველ დაწესებულებას, რომელიც კი სახელმწიფოს გამგებლობის სფეროში შედის. განსაკუთრებით კი მის კლანჭებშია სწავლა-აღზრდის საზოგადოებრივი მოწყობილობა—სკოლა.

სკოლა, უძლიერესი საშუალებაა ხალხის დასახსნელად მონობისა, დაბრიყვებისა და დაბეჩავებისაგან; იგი უებარი საშუალებაა ხალხში თანასწორობის, თანხმობისა და ძმურის მუშაობის შესაქმნელად, მაგრამ იგივე სკოლა ხდება დამონავებისა და გათახსირების იარაღად, როცა ის ხელში უვარდება განუსაზღვრელ ბატონს. ხალხი ასეთის სკოლის შემწეობით ირყვნება, ბეჩავდება; მას ენერგება ისეთი აზრები, რომელიც მისი არსებობის გამომხატველია, თვალზე ეფარება ცრუ აზრების შავი ლოლბანდი, რომელიც ხელს უშლის, ცხოვრების სინამდვილე შეიცნოს და ჭეშმარიტ გზას დაადგეს. ასეთ მდგომარეობაშია ის ხალხი, რომელიც გათახსირებულ სკოლაში იზრდება. მაგრამ ხალხს მაინც რჩება სიცოცხლის ნაპერწკალი, და ეს ნაპერწკალი საშუალებას აძლევს ჭეშმარიტების მებაირახტრეებს, ებრძოლონ სკოლის ცუდ შედეგებს და სკოლისაგან მონებად გამოზრდილთ ჩაუნერგონ თავისუფლების იდეალი.

მაგრამ ძნელია იმ გათახსირებისა და დაცემულობის წარმოდგენა, რომელსაც გაბატონებული წრეები აღწევენ. ვერაგობა, დაუნდობლობა, გულქვაობა, შეუბრალებლად გათელვა ყოველგვარ ადამიანურ ღირსებისა—მათი ხელობაა. გაიხსენეთ ჩვენი სასკოლო მთავრობის „მოღვაწეობა". დაცინვა არაა, განა, როცა სკოლების მეთაურს ჩვენში ჰქვია **მზრუნველი**, მერე რისი? სახალხო განათლებისა დიაღ, ეს ირონიაა ისტორიისა. ის, ვინც წარბ-შეუხრელად ანადგურებდა ხალხის მომა[illegible]ლ ახალ-თაობის გონებრივ სისაღეს, ვინც სთეს[illegible]ა მტრობასა და შუღლს, ვინც წარმოუდ[illegible] მოყვარეობას და ულმობელად სპობდა მის კულტურულ მომავალს,—ის ხალხის განათლების **მზრუნველია**.

მაგრამ ეს იყო და ამის შემდეგ ხომ აღარ უნდა დარჩეს? ნუთუ ხალხი ზურგს არ მოუბრუნებს იმ დაწესებულებებს, რომელიც მას ფეხქვეშ სთელავდა?

ნუთუ ხალხი არ მოინდომებს შექმნას თავისთვის კულტურულ განვითარების ნორმალური პირობები? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იმედი არ გაგვიცრუვდება. ამის საბუთს გვაძლევს იმერეთის სოფლის მასწავლებელთა ყოფა-ქცევა და ტაქტიკა. და თუ სხვა ადგილებში კიდევ ყოყმანობენ, თუ საზოგადოების ერთი ნაწილი ამ მხრივ მეტად უიმედოა, მაინც დარწმუნებული ვართ, რომ ძველი გათახსირება სამუდამოდ მოისპობა, მისი ორგანიზაციაც დაინგრევა. ხოლო ეს მოითხოვს ხალხისაგან ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულ მოქმედებას, ბრძოლას, ულმობელ ბრძოლას ხალხის მტერთა წინააღმდეგ. დღეს საქმე მხოლოდ დაწყებულია და არა დასრულებული.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ ქუთათურ პედაგოგების დადგენილებას ჩვენის „მზრუნველის" შესახებ. ამ დადგენილებიდან სჩანს, თითქო მზრუნველისაგან მასწავლებლები მოელოდნენ, რომ ის გამოესარჩლებოდა პირველ გიმნაზიას და ბრბოსაგან ამ გიმნაზიის შებღალვის გამო პროტესტს განაცხადებდა. რა უსაბუთო მოლოდინია? ნუთუ მასწავლებლებმა არ იციან, რომ „დღევანდელი სკოლა მხოლოდ ყაზარმების მოსამზადებელი განყოფილებაა"? და, აბა, როგორ უნდა დაირღვია ეს თანხმობა, ეს ჰარმონია სკოლასა და ყაზარმას შორის იმას, ვინც ამ ჰარმონიის დამცველი და დარაჯია.

დავანებოთ ოცნებობას თავი, სინამდვილეს პირდაპირ შევხედოთ და ზიზღი გამოვუცხადოთ მავნე მოქმედებისათვის, ძველის რეჟიმის წარმომადგენლებთან ერთად, ჩვენის განათლების „მზრუნველსაც". ამ ზიზღთან ერთად ზურგი შევაქციოთ მას და შევუდგეთ ხალხთან ერთად სახალხო განათლების მოწყობას.

ვ.

ვიტტე და მისი სამინისტრო

განახლებულ რუსეთის პირველ მინისტრ-პრეზიდენტს, გრაფ ვიტტეს, მრავალმხრივი განათლება, ცოდნა და გამოცდილება აქვს. ამას უარს არა ჰყოფენ იმის უკიდურესი მოწინააღმდეგენიც კი. მეოთხმოცე წლებში ვიტტე სულ უბრალო ინჟინერი იყო სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზებზე, ჯამაგირად რაღაც ასიოდე მანათს იღებდა და თავისი ნიჭი პირველად იმით დაამტკიცა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ სისტემის საქონლის ვაგონი მოიგონა. ამას ყურადღება მიაქცია ამავე გზების უფროსმა ვიშნეგრადსკიმ, რომელმაც ვიტტე დაიმეგობრა და მაშინვე ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა.

რამდენიმე წლის შემდეგ ვიშნეგრადსკიმ ფინანსთა მინისტრობა მიიღო, ვიტტემ კი იმის თანაშემწეობა. ცოტა ხანიც გავიდა და უბრალო ინჟენერად ნამყოფმა ვიტტემ ყველაზე ძნელი მინისტრობა იკისრა და მთელ რუსეთის ფინანსებს ტრიალი დაუწყო. იმ დროს რუსეთის ბიუროკრატია გაცხარებულ მუშაობაში იყო: აშენებდა ძვირფას სტრატეგიულ რკინის გზებს, რომელთაც ზარალის მეტი არა მოჰქონდათ-რა, ძვირფას ჯავშნოსნებსა და კრეისერებს, რომელნიც ან იაპონელებს ჩაუვარდათ ხელში, ან ცუსიმის სრუტის ძირში განისვენეს; ამრავლებდა და აძლიერებდა ჯარს, რომელმაც მანჯურიაში მხოლოდ თავის უძლურება და სრული უვარგისობა დაამტკიცა; იძენდა ახალ სისტემის თოფებსა და ზარბაზნებს, რომლის გამოყენება რუსეთის გაუნათლებელმა ჯარმა ვერ მოახერხა. თვითმპყრობელობის გაბზარულ ტახტის დაკერება და შეკეთება ბიუროკრატიას მხოლოდ ხიშტითა და ზარბაზნით უნდოდა, მაგრამ ბოლოს ლანდზე და თავის მოტყუებაზე აშენებულმა წესწყობილებამ იხუვლა და დაინგრა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო და რომლის აცილება არავითარ ქვეყნიურ ძალას არ შეეძლო.

თვითმპყრობელობის გასამაგრებლად ფული იყო საჭირო, ხოლო ფულის საშოვნელად საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ თვით-მპყრობელობა ძლიერს, მუდმივს და მიუვალ ძალას შეადგენდა. ამის დამტკიცება კი შეიძლებოდა მხოლოდ ძლიერის ფლოტით, ძლიერის არმიით და ძლიერის სამხედრო განწყობილებით. ერთიცა და მეორეც—ფულის შოვნაც და თვითმპყრობელობის გამაგრებაც—ვიტტემ იკისრა. ფულის შოვნა შეიძლებოდა შიგ რუსეთში და საზღვარ გარედ. ვიტტე სოცარის მოხერხებით სწურავდა რუსეთს, მაგრამ რადგან ღატაკ-ღარიბ გლეხის კაპეიკებით მთავრობა ვერ გაიმაგრებდა საძირკველს, ამიტომ ისევ საზღვარ-გარეთს მიჰმართეს. ვიტტემ ყველაზე წინ საფრანგეთისაკენ გაიშვირა ხელი: მოიგონა „წმინდა კავშირი" და თავისუფალი და განათლებული საფრანგეთი გაუნათლებელ და მონურ რუსეთს დაუმეგობრა და ამით რუსეთი და საფრანგეთი ბუნების საწინააღმდეგო წესით დააქორწინა. ბურჟუაზია თუნდ ეშმაკს ჩააბარებს თავის კაპიტალს და თან სულსაც მიაყოლებს, ოღონდ დარწმუნებული იყოს, რომ მისი კაპიტალი კარგად შეინახება და კარგ სარგებელსაც მოუტანს. საფრანგეთის ბურჟუაზიასაც ასე მოუვიდა. ის მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა ფულს კარგად შეუნახავდა და დიდ სარგებელსაც მისცემდა და აურაცხელი მილიონები ასესხა, აურაცხელი ფული დაბანდა რუსეთის სააქციონერო დაწესებულებებში.

მაგრამ გაუმაძღარ და ქურდ-ბაცაცა ბიუროკრატიას მარტო საფრანგეთის ფული არ ეყო. საჭირო იყო ახალი ფული, საჭირო იყო ყოველ წლივ რამდენიმე ას მილიონ სარგებლის გადახდა, საჭირო იყო ციმბირის რკინის გზის დამთავრება და შორეულ აღმოსავლეთის გამაგრება, მაგრამ... ხაზინის მთავარი წყარო—გლეხი—გახდა, გაიწურა და აღარა ებადა რა. სოფელი დაიმშა, გაღატაკდა, გაობრდა და დაიწყო მუდმივი და გაუთავებელი სიმშილი; დამშეული გლეხი ქალაქს მიაწყდა, გაპროლეტარდა და მუშათა არმია სოცარის სისწრაფით გამრავლდა. ქალაქიც და სოფელიც აღელდა, ადუღდა და ნაპირებიდან გადმოსვლა და თვითმპყრობელობის წალეკვა დაპირა. თვითმპყრობელობა მიხვდა, რომ იმის დღე დათვლილია, მიხვდა, რომ დღეს თუ ხვალ დამშეული სოფელი და რევოლუციონური მუშა ხალხი ადგებოდა და მას ანგარიშის გასწორებას მოსთხოვდა. თვითმპყრობელობას წინ გამოექიმა საშინელი საფრთხობელა, კარზე მიეჭრა „ყოფნა არ ყოფნის" ლანდი, რომელიც დღეს თუ ხვალ სინამდვილედ უნდა გადაქცეულიყო და მისთვის ანგარიში მოეთხოვნა.

ბიუროკრატია დაფაცურდა და... აი, სწორედ აქ დაიწყო თვით არსებობისთვის ბრძოლა. ერთი მხრით საჭირო იყო ფული და ისევ ფული, მეორე მხრით კი საჭირო იყო თვითონ ბიუროკრატიის არსებობის უზრუნველყოფა, უკვე დაწყებულ რევოლუციის მოსპობა და არსებულ თვითმპყრობელ წესწყობილების გამაგრება. ფულის შოვნა მხოლოდ ვიტტეს შეეძლო, მაგრამ დრომ მოიტანა და ბოლოს ყოვლის შემძლე ვიტტემაც განაცხადა, რომ შემოსავლის წყარო დაშრაო. დაიწყეს ამ დაშრობის მიზეზის ძებნა და მისი მონახვა მიანდვეს ისევ ვიტტეს, რომელმაც საშველად საზოგადოება მოიწოდა და რუსეთის ყოველ კუთხეში „სასოფლო სამეურნეო მრეწველობის საჭიროების" კომიტეტები დაარსა. საზოგადოებამ ამით ისარგებლა, შემოსავლის წყაროს საჭიროსათავე უპოვა და მიხვეულ-მოხვეულის ენით, რომელიც მაშინ ჩვეულებად იყო, განაცხადა: სანამ თვითმპყრობელობა არ მოისპობა, სანამ რუსეთს პოლიტიკური თავისუფლება არ მიეცემა და რუსეთში უფლებრივი წყობილება არ დამყარდება, იმ დრომდის წყარო დამშრალი იქნება.

მაგრამ მთავრობამ, რასაკვირველია, არ ისურვა საკუთარის ხელით თავის ყელის გამოჭრა და დაადგინა: დათმობას და თავის მოკვლას ისევ ის სჯობია, რომ ხაზინა ეძარცვოთ და სახელმწიფო ეტლი ხრამში გადაეჩეხოთო. ვიტტემ განზე გაიწია და ფულის შოვნაზე უარი სთქვა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ნეტარხსენებულმა ფონ-პლევემ თვითონ იკისრა ეტლის გადაჩეხვა: ვიტტეს ხაფანგი დაუგო, ალვირი გამოართვა, ცხენები გარეკა და „შეწევნითა ღვთისათა" ეტლი მანჯურიაში ჩალეწა. იქ, შორეულ მანჯურიის მინდვრებში და ცუსიმის სრუტის ტალღებში, ულმობელმა აუცილებლობამ სამარე გაუთხარა რუსეთის თვითმპყრობელობას და შიგ მისი დიდება, თავმოწონე ფლოტი და „ქრისტეს მოყვარული" ჯარი გაანადგურა. 1904 წელს, 26 იანვარს იაპონელების-მიერ ნასროლი პირველი ნაღმი „ცესარევიჩს" კი არ მოხვდა, არამედ რუსეთის პოლიტიკურ შენობას, რომელსაც გვერდი შეუნგრია და გვერდზე გადმოხარა. ბევრი ეცადა ბიუროკრატია შენგრეულ ადგილის ამოშენებას, მაგრამ მარშალმა ოიამამ, ადმირალმა ტოგომ და გენ. კუროკიმ გაბზარულ ტახტს სეტყვასავით დააყარეს „შიმოზა", იერიში იერიშზე მოიტანეს და ბოლოს, როგორც იყო, კისერი მოუგრიხეს. წაქცეულ დევის ბოლოს მოღება რუსეთის მუშა ხალხმა იკისრა და საარაკო ბრძოლის შემდეგ 17 ოქტომბერს თვითმპყრობელ ბიუროკრატიულ რეჟიმს დამხობა ოფიციალურად გამოცხადდა.

რას აკეთებდა ამ დროს ვიტტე? განზე იდგა და სეირს უყურებდა. ის ელოდა მხოლოდ ხალხის გამარჯვებას და დარწმუნებული იყო, რომ განახლებულ რუსეის ის ისევ დასჭირდებოდა.

ვიტტე არ მოსტყუვდა: ისევ მას ჩააბარეს სახელმწიფოს მეთაურობა და ძველ შენობის ნანგრევებზე ახალ წყობილების აგება. ვიტტეც შეუდგა საქმეს, მაგრამ ძალიან გაუჭირდა იმ პლატფორმისა და ისეთ საზოგადოებრივ ძალების შოვნა, რომელზედაც შეიძლებოდა დაყრდნობა. თავისუფლების პირველ დღესვე ვიტტეს ადვილად შეეძლო ლიბერალურ და ზომიერ დემოკრატიულ პარტიების მიმხრობა მაგრამ როცა დამტკიცდა, რომ ახალი მთავრობაც გულგრილად უყურებს ებრაელებისა და ინტელიგენციის ამოჟლეტას და თითქმის ტაშის კვრით ეგებება ხულიგანების თავგასულობას, ლიბერალები უმოქმედოდ გაჩერდნენ და ახალი მინისტრ-პრეზიდენტი ჰაერში ჩამოკიდული დასტოვეს. ვიტტემ მაშინვე გაიგო ნიადაგის გამოცლა, მარტო დარჩენა და ლიბერალებს ხელების ქნევა დაუწყო: მიშველეთ, მიშურგულეთ, თორემ თქვენს ადგილს სხვები დაიჭერენ და ხელცარიელი დამრჩებითო. მანვე კონსტიტუციონურ დემოკრატიულ პარტიას სთხოვა დახმარება (ეს პარტია საერობო და საქალაქო მოღვაწეთა და „ოსვობოჟდენცების" პარტიისაგან შესდგება); მოიწვია ამ პარტიის წარმომადგენელნი—მოსკოვის საერობო გამგეობის თავმჯდომარე გოლოვინი, პროფესორი ევ. ტრუბეცკოი და სხ. და მინისტრობა შესთავაზა, მაგრამ მათ თავიანთი პროგრამა წარუდგინეს და და პირობა მოსთხოვეს, სავსებით მიიღეთ ეს პროგრამა და მხარს დაგიჭერთო. მაგრამ რადგან მათ პოლიტიკურ პროგრამაში განაპირა ქვეყნების ავტონომია იყო მოხსენებული და 17 ოქტომბრის მანიფესტში კი რუსეთის მთლიანობის დაცვა იყო გამოცხადებული, ამიტომ ვერ მორიგდნენ და დაიშალნენ. ვიტტემ ამავე პარტიის მარჯვენა ფრთას მიჰმართა. საერობო პარტიის მარჯვენა ფრთას შეადგენს ერთი მუჭა სლავიანოფილებისა შიპოვის მეთაურობით, რომელიც უკიდურეს ცენტრალიზმის მომხრეა, 6 აგვისტოს სათათბიროთიც კი კმაყოფილდებოდა და იმის წინააღმდეგია, რომ საერო წარმომადგენლობას საკანონმდებლო ხმა ჰქონდესო. მაგრამ შიპოვმა პირდაპირ აღიარა, რომ ჩვენს პარტიაზე დაყრდნობა მთავრობას ხელს არ მისცემს, რადგან მეტად მცირე მომხრე გვყავსო და უარი უთხრა: ვიტტე ორ ცეცხლ შუა ჩავარდა.

ბიუროკრატიის კალთებში დაბადებულსა და თვითმპყრობელობის ბუდეში აღზრდილ მინისტრ-პრემიერს არც შამფურის დაწვა უნდოდა და არც მწვადისა: არც უმაღლეს მთავრობის წყენა უნდოდა და ამავე დროს პროგრესიულ რუსეთის გულის მოგებასაც აპირობდა. სხვა დროს ამისთანა ორპირობას შეიძლება გასავალი ჰქონოდა, მაგრამ ამ საკენკით უკვე ნაცად და გაწვრთნილ რევოლუციონურ ელემენტების მოტყუება ვერ მოხერხდა. ვიტტეს ვერც იმის პოლიტიკურმა გამოცდილებამ უშველა, ვერც შერიგების ტაქტიკამ და ვერც დაყვავებამ. კაბინეტის შედგენა კი საჩქარო იყო. ბოლოს გულ გაცრუებულმა პრემიერმა ისევ ბიუროკრატიას დაუკაკუნა კარები და თავის გარშემო თვითმპყრობელობის ფრთების ქვეშ შეზრდილი წიწილები მოაგროვა.

შინაგან საქმეთა მინისტრად მოიწვია დურნოვო. ეს ის დურნოვოა, რომელიც კარგა დიდ ხანს და უკანასკნელ დროსაც თვითმპყრობელობას ერთგულად და მხნედ ემსახურებოდა და ნეტარ ხსენებულ პლევეს მარჯვენა იყო.

ფინანსთა მინისტრად დანიშნეს საერობო მოღვაწის მოგვარე შიპოვი, რომელსაც არავინ არ იცნობს გარდა ხაზინის მოხელეებისა, ვინაიდან დღემდის ეს კაცი ხაზინის დირექტორად იყო. რა გაუკეთებია მას საფინანსო მეცნიერებაში, როგორი ადმინისტრატორია, როგორი პოლიტიკოსია—არავინ არ იცის. იციან მხოლოდ ის რომ შიპოვი დღემდის დურნოვოსავით ძველი რეჟიმის ერთგული მსახური და ყურ-მოჭრილი მოხელე იყო.

საერო განათლების მინისტრის პორტფელი ჩააბარეს ტოლსტოის, რომელსაც მინისტრობა სიზმრადაც არ ელანდებოდა. დღემდის პეტერბურგის კონსერვატორიის ვიცე-პრეზიდენტი იყო და სახელი მხოლოდ იმით გაითქვა, რომ კონსერვატორიიდან ცნობილი კომპოზიტორი პროფესორი რიმსკი-კორსაკოვი დაითხოვა ლიბერალობისათვის.

გზათა მინისტრად ნემეშაევი მოიწვიეს. დღემდის ნემეშაევი სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების უფროსი იყო და მთელ რუსეთში მხოლოდ იმით გაითქვა სახელი, რომ სასტიკი ადმინისტრატორი და მკვახე და რიხიან ბრძანებათა შემთხზავი იყო.

საზღვაო მინისტრად ისევ ბირილოვი დატოვეს, სასახლისა—ისევ ბარონ ფრედერიქსი, სამხედრო ისევ რედიგერი, გარეშე საქმეთა—ისევ ლამზდორფი. ბირილოვმა ადმირალ როჟესტვენსკის ისეთი ესკადრა მოუმზადა, რომ იაპონელთა ერთი ყუმბარა რუსეთის ერთ გემს ღუპავდა. ფრედერიქსს არავინ არ იცნობს და არც არაფერი გაუკეთებია, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მას მინისტრის პორტფელი ექნება; რედიგერმა ჯერჯერობით მხოლოდ იმით ისახელა თავი, რომ აფიცრებს „დენშჩიკების" მოსპობას უპირობს; ლამზდორფმა... მაგრამ ვინ არ იცნობს ამ დიპლომატს? ეს ის ლამზდორფია, რომელმაც პირდაპირ იაპონიასთან მოლაპარაკება არ ისურვა (ეს რუსეთის დამცირებად მიაჩნდა!) და ეს საქმე შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკს ალექსეევს დაავალა და იმის დახმარებით რუსეთს მანჯურიაში ფეხი მოატეხინა.

როგორც ხედავთ, ყველა მინისტრები ძველ რეჟიმის დამცველნი არიან და მომხრენი არიან და აი, ამ მინისტრებს მიანდვეს მანიფესტის განხორციელება, მშვიდობიანობის აღდგენა, ხალხისთვის მოქალაქობრივ თავისუფლების მიცემა და კონსტიტუციონურ წესწყობილების დამყარება. ყველანი, ვიტტეს გარდა კონსტიტუციის წინააღმდეგნი არიან, მაგრამ მაინც იკისრეს მისი შესრულება. ამ მინისტრებმა რუსეთს რომ ნდობა მოსთხოვონ, როგორც ეს ხდება ხოლმე დასავლეთ ევროპაში, ყველანი ერთ წუთში თავდაყირა გადმოცვივიან თავ-თავიანთ ადგილებიდან, მაგრამ რადგან ჯერ-ჯერობით პარლამენტის უქონლობის გამო, ხალხს არც ნდობის გამოცხადება შეუძლიან და არც უნდობლობისა, ამიტომ ახლანდელი მინისტრებიც პარლამენტის შეკრებამდის (რომელიც უეჭველად დამფუძნებელ კრებად უნდა გადაიქცეს) თავ-თავიანთ ადგილებზე დარჩებიან. აქ საგულისხმოა მხოლოდ მთავრობის ტაქტიკა და პოლიტიკა, რომელიც მინისტრთა შერჩევამ ნათლად გამოაშკარავა: ისევ ძველს მსახურებს ანდობენ ხალხის თავისუფლების საძირკვლის ჩაყრას—საარჩევნო სისტემის შემუშავებას, რომელზედაც დამოკიდებულია ბიუროკრატიის ბედიც და ხალხის პოლიტიკურ თავისუფლების მომავალიც.

მ. ად—ლი.

* * *

დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ

დღევანდლამდე რედაქციაში გვქონდა 612 მან. და 90 კაპ. ქვემოდ ნაჩვენებ თანხასთან ერთად, დღეს რედაქციაში გვაქვს—684 მ. 01 კ.

I

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ მიუმატოთ ეს ჩემი მცირე წვლილიც—ათი მანეთი—ხვებისას დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ.

დეკანოზი გაბრიელ ცხვარიშვილი

II

გაახლებ სად. აჭაშში შეგროვილ 61 მ. და 11 კაპ. დაზარალებულ გურულებისთვის და გთხოვთ მიიღოთ. სია. შემომწირველთა: სიმონ გაბილაია 5 მ., კულია გულავა 10 კ., ბაგრატ დოლიძე 10 მ., ესტატე კუცია 20 კაპ, შარვან ბუკუჩავა 20 კ., ნესტორ შაროზია 40 კ., ვიქტორ შუბლაძე 20 კ., თეიმურაზ ესაკია 10 კ., ნესტორ [illegible]ია 10 კ., ნესტორ მანტკავა 50 კ., ელიზბარ ცომაია [illegible] კ., ტაია ქვანია 20 კ., ლევან გვაძამია 20 კაპ., ირაკლი [illegible]ია 50 კ., ეგვენი თოფურია 50 კ., თედორე ჯიბლაძე 20 კ., [illegible]მენტი [illegible]ლაძე 20 კ., მოსე წაქაძე 20 კ., ვასილი ყუ[illegible] 20 კ., გრი[illegible] გაბილაია 20 კ., ერასტო მაღლაკელიძე 30 კ., ალექსი [illegible] 50 კ., ანდრია ქორჩილავა 15 კ., ამბაკო [illegible]რაძე 30 კ., [illegible]ტაბიძე 10 კ., გიგო ლაპარტყავა 20 კ., სოფია ცო[illegible]

ფელეტონი

ხან ასე და ხან ისე

სცენები თანამედროვე პროვინციალურ ცხოვრებიდან.

ეს სცენები სწარმოებს ქართლის ერთ-ერთ პატარა ქალაქში. საღამო ჟამია. კნეინა ნინო (50 წლისა, ევროპიულად ჩაცმული), სტუმრების მოლოდინში (შინაურებსა სთხოვა „ვერტუშკაზე"), „კაჩალკაში" ქანაობს. მის პირდაპირ, ოვალ სტოლთან, თავ. ნიკო ასლანბეგოვი (კნ. ნინოს მეუღლე—62 წლისა „ოტსტავნოი" შტაბს-კაპიტანი) კრესლოში ზის და ძველ გაზეთს ათვალიერებს (ახალი არ მოდიოდა გაფიცვების გამო) იქვე, შორი-ახლო, თავ. მიშო (მათი 25 წლის უსაქმო და უსწავლელი შვილი, „დვორიანსკი ტუჟურკაში" გამოწყობილი, სარკის წინ იგრიხება. ცოტა მოშორებით კნიაჟნა თალო (თავ. ნიკოს 70 წლის და—ქართული კაბით) კუშეტკაზე მოკეცილი, ქარვის კრიალოსანს ათამაშებს.

—

თავ. მიშო (მოტრიალდება და ულვაშების გრეხით—დედას) Ну, что, мамаша: я интересный? მიხდება ეს ტუჟურკა?

კნ. ნინო. ძიენ! ძიენ! ნასტაიაში დემონი ხარ, გენაცვალოს დედა! (კნეინა ნინოს, როგორც ინსტიტუტში ნამყოფს, საშინლად უყვარდა რომანიულ სახელების და რუსულ-ფრანგულ სიტყვების ხმარება). ერთი მდიდარი თამარაც რო შეგხვდეს! (ტუჩების წმაწუნით) ახ! ი...ფ! прелесть! ნამდვილი რომანი იქნება!

თავ. მიშო (თითებით ანიშნებს) შენ ეს მოიტა! ა...ახ! ერთი სამოცი თუმანი იყვეს!—წავალ რუსეთში და მილიონებს ავიღებ! იცი, „მოსკოვსკი კუპჩიხებს" როგორ უყვართ შავგვრემანი ვაჟები, მეტადრე კნიაზები?! Просто, съума сходять, რაღა! ჭკუიდან იშლებიან „კავკაზსკი ქნიაზებისთვის!"

კნ. ნინო. ამბობენ, შვილო: იქაც დაცემულა კნიაზობაო, სულაც უნდა გააუქმონ ხარისხიო?!. უწინ დღე დაელიოთ, რო ახლა ეგ ლაფი არ დაგვესხა. აბა, მაშინ შეგვეჯდებიან მუჟიკები თავსა. ნახე იმათი სიხარული!

კნიაჟ. თალო. ვინც რა უნდა მიჰქაროს, ე სისხლს ხო ვერ გამოგვიცვლიან?—„ღვდელს ქილობშიაც იცნობენო".

თავ მიშო. Нѣтъ, дудки! რუსეთში ისევ დიდი მნიშვნელობა აქვს კნიაზობას. სოციალისტებს ყურს ვინ უგდებს?

თავ. ნიკო (გაზეთს დასდებს). რა ვიცი, რუსეთში არა და, შარშან ნიცაში და ვარშავაშიაც იყავ, მაგრამ რო არა გამოვიდა-რა! ტყუილად მიფშრუკე იმოდენა ფული და მობრძანდი ცარიელი.

თავ. მიშო (წყენით) [illegible] რო ეგრე იძახი?! ოცდა ათი თუმანი გამიტანეთ და მაგითი უნდა მომეტყუებინა ხალხი?! (დედას ხმადაბლა) онъ совсѣмъ не цивилизованный! (თავ. მიშოს, რაკი რუსულის ლაპარაკი ესწავლა და ფერად-ფერად ტანისამოსებს იცვამდა, თავის თავი დიდი განათლებული ეგონა). იმდენიც არ იცის, რო „აფერისტობასაც" ფული უნდა! ჯერ მარტო „ბაბროვი შინელი" რა დამიჯდა! კიდევ კარგი, რო ქაღალდში მოვიგე!

კნ. ნინო. ყურს ნუ უგდებ, შვილო! ძაგან რა იცის, „შიკი" და „ბონტონი" რა არის?! (ხმადაბლა) რაც „ოტსტავკაში" გამოვიდა, სუ გამოყრუვდა ეგ საცოდავი!! ვაი ჩემი ბრალი, მაგის ხელში! (დიდინებს) „მე ჯავარზე ეულა ვარ"... (ამოოხვრით) ეჰ. სადღაა ის დრო, როცა კაცებს ვაგიჟებდი?! მთელი პოლკი მე მეტრფოდა!

კნიაჟ. თალო (იქით). კაი რამეებს არ იგვეხის!

თავ. ნიკო (შეუბღვერს ცოლს) რა, მოგაგონდა ძველებური?!

თავ. მიშო. მოიცა, დედა... (განაგრძობს) представь себѣ: ის-ის იყო, ერთი მდიდარი ქალი ჩავიგდე... მართალია, ეშმაკსა ჰგვანდა და საშინელი ბებერიც იყო—ჩემზე დიდი შვილები ჰყავდა... მაგრამ ისე შევუყვარდი, ისე, რო მთელ შეძლებას მე მიმტკიცებდა! ბევრი, სიშურით, „Альфонсъ"-საც კი მეძახდა!

კნ. ნინო. რა გენაღვლებოდა! შენ კი იმის ფულები ჩაგეგდო და, ვისაც რა უნდა, მიეკარა! очень нужно!

თავ. მიშო. მათქმევინე და! (ხელების შლით და მიხრწნილის ხმით) წავიდა აბანოში და აკი „უდარი" მოუვიდა! ეგეც ჩემი ბედი! მწ...ა...ახ! ერთი ორი დღე დასცლოდა!—დღეს სუ „კარეტებში" ვივლიდი! (პაუზის შემდეგ, არხეინად) ничего! (დედას მხარზე ხელს უსვამს). მამაშა კაი ქალია! ერთ ორმოც თუმანს კიდევ მისესხებს გრიქორასაგანა და...

კნ. ნინო (შეწუხებული ხმით) მერე, მიცემა არ უნდა?—რითი, შვილო, რითი?! ეს სახლებიც ლამის მაგ წურბელამ ჩაიგდოს! (სახლებიცა და სხვა დაგირავებული მამულებიც კნეინა ნინოს მზითევი იყო), ხო ხედამ, წრეულ გლეხებმა რა საქმე დაგვმართეს?!

კნიაჟ. თალო (თავის ქნევით) პა, პა, პა! სოფელიც როგორ გაირყვნა! წინად პატივს მაინცა გვცემდნენ—უძღვნოთ არც კი დაგვენახვებოდნენ! ეხლა—არა თუ კატა მოუკვდებათ ხელში, პირიქით, თავზე კაკალსაკ გვამტვრევენ! ბეჩა, წარყვნაა, მა რა ჯანდაბაა?!

თავ. მიშო (მუშტის ქნევით). я имъ покажу! ეხლა კი აღარავისი მეშინიან, სუ ციხეში სხედან! ავალ სოფელში და სუ ტყავს გავაძრობ! [illegible] და ერთი-ათად წაგართმევ! მიცქირობ!

კნიაჟ თალო. ახია მაგათზე! სახელი გაუწყდეთ „ერთობის" მომგონთ, ჰო და, აი, ასრე, რო ჩვენი მიბინარებული ცხოვრება მაგათ აურ-დაურიეს!

კნ. ნინო. „გაუწყდეთ" არა და, მგონი, უარესიც მოუვიდათ! სუყველანი დაიჭირეს და ციმბირში გზავნიან!

კნიაჟ. თალო (ხელებ-აპყრობილი). მამა ზეციერსა ვთხოვ, რო ცოცხლები აღარ გადმოვიდნენ იქიდანა! უნდა სუ დაეხვრიტათ, ან დაეხრჩოთ, რო მადლი ის არის.

თავ. ნიკო. რათა? ან ტყვიას რათ დაეხარჯავდი, ან თოკს რათ გავაფუჭებდი მაგ წუპაკებზე?! მათრახი და მაგათი ჯანი! გავაწვენდი და იმდონ-იმდონ მივცხებდი, რო ნახევარიც ვერ დაეთვალოთ! მგონი, უ ეძახათ: „ბატონ-ყმობასაკ ყაბულსა ვართო!"

კნიაჟ თალო. იმდონი თვალი დაუდგათ მაგ უბედურებს, რო ის დრო ერჩიენათ, როცა ჩვენს მეტი მბრძანებელი არავინა ჰყავდათ!

თავ. ნიკო (განაგრძობს). მაგრამ რო ჩვენვე არ ვარგივართ, რო ჩვენვე წამოვისვით თავსა ვილაც ღორები! ჯერ ძიენ ვბაქი-ბუქობდით: თავად-აზნაურების „მილიცია" დავაარსეთ, ნასწავლებიც კი ჩავგერივნენ... და ერთი თვის უკან კი ყველანი მიშისგან ტუს-ტუსით გავრბოდით! შორს არ წავალ; თვითონ ეს (შვილისკენ ხელს მიიშვერს) ვაჟბატონი არ იყო, რო საჩქაროთ ჩოხა გაიხადა, იარაღი წითელ რაზმელებს ჩაბარა და ყველა გაზეთებში გამოაცხადა: (აჯავრებს) „რადგან ჩვენი მილიცია თავის პროგრამას გადასცდა..." (ხელის შლით) ნეტა რა „პროგრამამა", რის „პროგრამამა?!" (განაგრძობს) და რამდენიმე უსამართლობა ჩაიდინა, შავ რაზმელებს თავს ვანებებ და გლეხებს ვურიგდებიო!" წადი! ყველაზე ადრე და ძიენ ამან შემოსძახა „ერთობა!"

თავ. ნიკო (გაცოფებული). მაშ თავი მომეკვლევინებინა?!

კნ. ნინო. გეთაყვანეთ, ეგრე რო არ გვექნა, ხო დედა-ბუდიანათაც ამოგვწყვეტავდნენ! კიდევ კარგი, გენაცვალოს დედა, რო ბოლო დროს სოციალისტობა დაიწყე, თორე დღეს ცოცხლები არ ვიქნებოდით!

კნიაჟ. თალო. ქა...ა...ა! სიკვდილს ჯანი გავარდეს, ვილა ჩივის,—ადამიანი მაინც ერთხელ უნდა გამოეთხოვოს ამ წუთი-სოფელს: სულით-ხორცამდინ დავიღუპებოდით! ბეჩა, ვეღარც პატივით დავიმარხებოდით: აღარც ღვდელი იქნებოდა ჩვენთვინ, აღარც საყდარი, აღარც კუბო—შორს აქაურობასა! (თავ. მიშოს ცხვირს დააცემინებს) შენი ჭირი შენ სეხნიასა! ხელი დაჰკა, ნინო! (გა- [illegible]... უნდა დროგზე დავეგდეთ და სალდათებს გავეთრიეთ! (ხელებ აპყრობილი) ო...ო! მადლობა შენდა, უფალო, რო ეგ დღე ამაცდინე! კიდეც მაგისი მეშინოდა, რო ბაგე-ბაგეზე ვერა ვძრამდი! ასე გაშინჯე, მოსამსახურეებსაც კი ფეხქვეშ ვეკებოდა და სუ „შვილო, შვილოს" ვეძახდი! მა რა მექნა, ქა?! სულს საეშმაკოთ ხო ვერ გავიხდიდი?!

კნ. ნინო. ახლა მე მკითხე! (სიცილით) ასეთი ვიყავ, რო პირველი მე ვსოციალისტობდი შიშისაგან! „ბარიშნა" რო ვყოფილიყავ, ღმერთს გეფიცები, წითელ „რუბაშკას" ჩავიცვამდი! კინაღამ კრებასაც დავესწარ! მაშ, მაშ! სამ-სამ მანათიანებს გადავდიოდი „კამიტეტისთვის!" ვისაც უნდა მოეწერა, კინტოს რო ეთხოვნა—„იმ აზრის ხალხისთვის ფულს ვაგროვებ"...—თვალის დაუხამხამებლივ ვაძლევდი! გენაცვალეთ, მეტი რა გზა მქონდა? ასე ამბობდნენ: თავად-აზნაურების მამალ-დედალსაც აღარ დავტოვებთო!

კნიაჟ. თალო. თავად-აზნაურობის ჭირი გეტაკოთ თქვენა-თქო!

კნ. ნინო (განაგრძობს) ამასთან ამისი ვიყავ, იმასთან იმისი! არც წვადსა ვწვავდი, არც შამფურსა! როგორც შემესწრობოდა, ისე ვიქცეოდი!

თავ მიშო. „კონეჩნო", ყველაფერში პოლიტიკა და ნეიტრალიტეტი უნდა!

კნ ნინო (ქმარს) თვითონ შენ არ იყავ, რო შიშისაგან გარეთ ფეხს ვერა სდგამდი—„არა წამომცდეს-რა, კამიტეტთან არ დამაბეზღონო?! მეტადრე „კაკარდა" და „პაგონი" ეჯავრებათო?!"

თავ მიშო (სიცილით). მართლა, პაპაშ! აღარ გახსოვს, რო შინ რუსების სადღეგრძელოსა სვამდი და იმათ ჯარის გამარჯვებას ნატრობდი, გარეთ კი იაპონიის აქებდი და ლოცამდი? ხა, ხა, ხა! შენც კი ოსტატი ხარ, აი! (თვალს უშვრება).

თავ. ნიკო. (შიშით აქეთ-იქით მიიხედავს და შეუტევს) ჩუმათ! რას მიჰქარამ?! ექ არავინ გაგიგონოს—„პენსიას" წამართმევენ! (დაცინვით) შენი „დიპლომი" მაცხოვრებს, მე შენ გითხრა!

თავ. მიშო (წყენით, ამაყათ) საქმე „დიპლომია"?! მართალია, „კურსები" არ დამისრულებია, მაგრამ, აბა, ერთი ი უნივერსიტეტ დასრულებულები წამომიდგნენ წინა! რაც მე ვიცი, იმათ სიზმარშიაც არ უნახავთ! სად არ მომივლია—მონტე-კარლოშიაც კი ვყოფილვარ! რეები არ მინახავს: რა ოპერეტკები, შანსონეტკები, კაფეშანტანები... ჩემისთანა „რაზვიტოი" ვინ არი?! ის საცოდავები კი სუ წიგნს ჩასცქერიან (აჯავრებს) „ბა-ბე-ბუ"... და მეტი არაფერი!

კნიაჟ. თალო. თუ ნასწავლები არიან, ქკუადახ რაღათ ირევიან, გადარაოთ ჩემმა გამჩენმა?! ქვეყანას რაღათ ამტუტებენ?!

კნ. ნინო. შენ ეკა თქვი! არა, გეთაყვა, არც სწავლა მინდა, არც მაგისთანა შვილები! ყველა სტუდენტი ქვეყნის ამომგდებია! ახლა ვინ არ ათავებს უნივერსიტეტსა?! გლეხებს დარჩათ მოედანი! იმათი ბიჭები დაბძანდებიან „ზნაჩოკებით"! თავში ქვა იხალონ, არც სწავლა მინდა, არც სოციალისტი-შვილი, ოღონც ჩვენ ქერქში დაგვაგდონ!

თავ. მიშო რათა, ი სოციალისტები მე არ მომატყუეს?! (თვალს უშვრება) ჰმ! еще какъ! რაც ის იარაღი ჩავაბარე, ერთ-ორს ისე დავუმეგობრდი, რო ყველაფერი გავიგე... და აკი სხედან! ხა, ხა, ხა! „შტუკა" ვერ ვუყავ! ზოგი—მე, ზოგიც—ადაშვილმა და... довольно!

ყველანი (შიშით აქეთ-იქით მიიხედავენ) სს!.. შშ!.. არავინ გაიგონოს! არ დასმინდეთ!.. მოგვკლავენ!.. ვინ იცის, ხვალ რა მოხდეს, ვისკენ იყვეს ძალა?.. აგერ ახლაც გზები შეკრულია... თურმე დიდი არეულობაა რუსეთში... ტფილისშიაც... ფრთხილათ!

თავ. მიშო. (არხეინათ) მაგისი დარდი ნუ გაქვთ! მე ისე გავაკეთე საქმე, რო ეხლაც მეგობრათა მთვლიან! ესენი კი პრისტავობას დამპირდნენ... (ამაყათ) მაშ! ბიჭი ვერა ვარ?! ловко, нѣтъ? (ისმის ზარი).

კნ. ნინო. (წამოდგება) მოვიდნენ, ჩვენი სტუმრები მოვიდნენ! წადი, შვილო, მიეგებე. (თავ. მიშო გარბის).

—

(ღამის თერთმეტი საათი შესრულდა. ასლანბეგაანცა ეს არი, ახლა გაათავეს ქაღალდის თამაშობა და „გოსტინიდან" „სტოლავოიში" გადავიდნენ ხილის საჭმელად. გრძელ სტოლს შემოსხდომიან მასპინძლები და მათი სტუმრები: კატო—45 წლ., გრიქორ სტეპანიჩი—50 წლ.—მდიდარი ვაჭარი, (რომელსაც კნეინა ნინო ძიენ ეფერება, რადგან ხშირად ესესხება ფულებს), მისი ცოლი—ანანა, ექიმი ვასო ბარბაროვი—32 წლ. (გულზე—მუდმივ „ზნაჩოკით"), ალექსანდრე ივანიჩ ადაშვილი—შუა ხნისა—„ჩინოვნიკათ" ნამყოფი (ახლა ქალაქის მოურავობას ლამობს და ამის გამო პირი იქით მიაქვს, საითაც ქარი მიჰქრის), მისი ცოლი—ტასო—40 წლ. (ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მისი ქმარი ქალაქის თავად აირჩიონ და, სადაც რა შეჰფერის, ისეთ „რეკლამას" უკეთებს).

—

კნ. ნინო (სთავაზობს სტუმრებს) მიირთვით, გენაცვალე, მიირთვით! რა თხოვნა გინდათ—შინაურები ხართ.

კატო. (ხუმრობით) ღმერთი გამიწყრეს, თუ

ეროვნული

20 კ., ირაკლი პანტურია 40 კ., ალექსანდრე საბაშვილი 50 კ., სპირიდონ კაპარავა 2 მ., სიდო ჩოჩია 10 კ., ნესტორ 10 კ., ალექსი ნადარეიშვილი 20 კ., ზაქარია გაბუნია 15 კ., დათა ძველაია 20 კ., ანთიმოზ ცხადაძე 20 კ., გიგო ქვემოკლიძე 15 კ., სამსონ ცომაია 40 კ., კოსტა გაბილაია 10 კ., ბესარიონ როფაქიძე 50 კ., თეიმურაზ გუგუშვილი 20 კ., იასონ ბესელია 20 კ., ბაგრატ გვაზავა 50 კ., ყარამან გუგუშვილი 20 კ., ესტატე ლაპარტყავა 50 კ., კირილე გეგენავა 1 მ., ერმილე გვაზავა 50 კ., იოსებ შენგელია 50 კ., თეიმურაზ თოფურია 15 კ., ლუკა ქოიავა 15 კ., სილიბისტრო უჩამეიშვილი 3 მ., დათა თედორაია 2 მ., არსენ უჩამეიშვილი 40 კ., ფილუ მიმინოშვილი 1 მ., ალექსი მიმინოშვილი 20 კ., დიმიტრი წულეისკირი 50 კ., სოლომონ ბუკუჩავა 40 კ., ფეცუ თოფურია 5 კ., ანეტა დიხამინჯია 5 კ., იასე გაგუა 10 კ., მელიტონ ქვანია 30 კ., ფაქიზი დუნეიშვილი 50 კ., არტემ კასპაროვი 10 კ., დიანოს ჩურუხაძე 50 კ., პახვალა ცომაია 50 კ., გიორგი ცომაია 5 კ., ალექსანდრე ფაჩულია 50 კ., პეტრე ქოიავა 1 მ., ალექსი ქოიავა 1 მ., გიორგი თოფურია 50 კ., დიმიტრი კაპარავა 40 კ., ალექსი ბენია 30 კ., ირაკლი მიმინოშვილი 50 კ., ეკა გვაძაბია 5 კ., ვანო ჯანიანი 5 კ., პაშა ხუბულავა 20 კ., სალომე გიგინეიშვილი 10 კ., ივანე ჩაგანავა 10 კ., ანდრია კიკაბიძე 10 კ., ბათუ ჯანჯღავა 10 კ., ბესა ტყაბუჩავა 20 კ., ბესარიონ დიაკონი 20 კ., ფილიპე მხეიძე 20 კ., ბესარიონ ნოდია 20 კ., ნესტორ კუბულაშვილი 50 კ., ერისტო ბუკუჩავა 50 კ., ნათა ნადარეიშვილი 1 მ., მღვდელი ჩოჩია 40 კ., თედორე კაპახიძე 40 კ., როსტომ გაგუა ხუთი კაპ., მიხეილ კაკულია ხუთი კაპ., თეოფილე ქაჯაია 10 კ. დუტუ ბზიავა 20 კ., მიხა სამხარაძე 20 კ., პავლე ქოიავა ათი შაური, პეტია გვაზავა 1 მან., ერმილე მანტაკავა 10 კ., დავით კვარაძე 11 კ., ნოე ურუშაძე 1 მ., ბესა კაპარავა 50 კ., არსენ კიკაბიძე 20 კ., კონდრატე ნადარეიშვილი 20 კ., ბათუ ქოიავა 1 მ., რომანოზ ცომაია 20 კ., ილარიონ მანტუა 20 კ., ათანას მიმინოშვილი 20 კ., ბათუ კაპარავა 20 კ., გიორგი ჩიქოვანი 15 კ., ალექსანდრე საფავა 20 კ., ლევარსი თოფურია 50 კ., სამსონ ჩიქოვანი 20 კ., მამანტი კანდელაკი ხუთი მანეთი. სულ 61 მ. 11 კაპ. *)

მ. პ. კანდელაკი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 9. იუსტიციის სამინისტროსთან შემდგარმა საგანგებო კომისიამ შეიმუშავა კანონ-პროექტი პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ, გაუქმებულია ყველა ის კანონ-დებულება, რომლებიც შეტანილი იყო 1864 სამოსამართლო წესდებებში, როგორც შენიშვნები და დამატებითი მუხლები, რომლიც პოლიციასა და ადმინისტრაციას პიროვნებათა დევნის ნებას აძლევდა. ამ პროექტს ამ დღეებში მინისტრთა საბჭო განიხილავს.

ქუთაისი, 9 ნოემბერი. ყველა სასწავლებელთა მასწავლებლების კრებამ გადასწყვიტა სწავლის გაგრძობის შესახები კითხვა თვით მოწაფეებს გადააწყვეტინოს. მასწავლებლების, მოწაფეების და მშობლების წარმომადგენლები იმუშავებენ პროგრამას, ირჩევენ მასწავლებლებს. გადასწყვიტეს ოლქის მზრუნველს ზავადსკის გამოუცხადონ ზიზღი მის მაინებელ მოღვაწეობისათვის და გულის წყრომა მის შეუწყნარებელ მოქმედებისთვის ტფილისის პირველ გიმნაზიის საქმეში.

ახალი ამბავი

როგორც გავიგეთ, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების პარტია შუამდგომლობს, რომ **ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრი გადაკეთდეს ქართულ კლუბად**, სადაც მოთავსებული იქმნება სამკითხველო და დიდი დარბაზი კონცერტებისათვის. პროექტით, კლუბის გარშემო გაშენებულ უნდა იქმნას პატარა ბაღი. ხარჯი გამოანგარიშებულია ათას თუმნამდე. კლუბის დამაარსებლებმა მოლაპარაკება უკვე დაიწყეს თავად-აზნაურობასთან.

◆ გუშინ-წინ, 9 ნოემბერს, **ტფილისის გრენადერთა მეხუთმეტე პოლკის ჯარმა უფროსებს უკმაყოფილება გამოუცხადა**. საღამოს შვიდ საათზე ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, დარბოდნენ პოლიციელები და ჰყვიროდნენ: დუქნები დაკეტეთ, მთელი პოლკი აჯანყდაო. შეშინებულმა მედუქნეებმა სწრაფად დაკეტეს დუქნები და მთელს ავლაბარში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სალდათთა უკმაყოფილება ასე დაწყებულა: ტფილისის პოლკის კაზარმასთან ერთმა ყასაბმა ჩხუბის დროს სალდათი დასჭრა. იქვე მყოფმა სალდათებმა ყასაბს ხელი სტაცეს და გადასცეს მორიგე ოფიცერს, რომელმაც ყასაბი დაატუსაღა. რამდენსამე ხნის შემდეგ ოფიცერთან ერთი კაცი მივიდა და ყასაბი გაანთავისუფლებინა. ჯარის კაცები გარს შემოერტყნენ ოფიცერს და მოსთხოვეს, ყასაბი რად გაანთავისუფლეო. დიდის მუქარისა და ჯავრობის შემდეგ, მორიგე ოფიცერი იძულებული შეიქნა მეორე ოთახში ჩაკეტილიყო. ჯარის კაცები ტელეფონთან მივიდნენ და პოლკოვნიკი გამოიწვიეს. სათადარიგო ჯარის კაცებმა პოლკოვნიკს განუცხადეს: თქვენ დაგვპირდით, რომ ჩვენს ოჯახობას თვეში სამ მანათს დაუნიშნავდით და ჩვენც ჩქარა გაგვანთავისუფლებდით, მაგრამ თხოვნის დაპირება ტყუილი გამოდგაო. აღელვებულ ჯარის კაცებს პოლკოვნიკი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას დაუყოვნებლივ დაჰპირდა.

◆ გუშინ, 10 ნოემბერს, ტფილისის ქუჩებში გამოაკრეს **გუბერნატორის ტრაუბენბერგის განცხადება**, რომლითაც გუბერნატორი მცხოვრებთ აუწყებს, რომ 1) მას არავითარი ცნობა, ან განცხადება არ მოსვლია, რომელიც ამტკიცებდეს, რომ ტფილისში გავრცელებული ხმები მცხოვრებთა მოსალოდნელ თავდასხმის შესახებ, მართალი იყოს, 2) მაგრამ მაინც მიღებულია ყოველგვარი ზომები, რომ უწესოებამ თავი არ იჩინოს და 3) სიცოცხლე და ქონება თითოეულის მცხოვრებელისა, განურჩევლად სარწმუნოებისა, ეროვნებისა და პოლიტიკურ რწმენისა, დაცულ იქმნებაო''.

◆ კვირას, 13 ნოემბერს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების თეატრში ქართულ სცენის მოყვარულნი **დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ** წარმოდგენას მართავენ. ბილეთების ფასი მომატებულია.

◆ თელავიდან გვატყობინებენ, რომ იქ 7 ნოემბერს წარმოდგენა გაუმართავთ **გურულების სასარგებლოდ** და ხელის მოწერით ფულსაც აგროვებენო.

◆ ამ უკანასკნელ დღეებში ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ადგილობრივი მალაკნები **რეაქციონურ გზას დაადგნენო**. ამ ჭორების გასაქარვებლად, მალაკნებს განუზრახავთ 13 ნოემბერს ნაძალადევში მიტინგი გამართონ და თავისი თანაგრძნობა გამოუცხადონ თანამედროვე განმათავისუფლებელ მოძრაობას.

◆ როგორც გადმოგვცეს, კვირას, 13 ნოემბერს, ტფილისის ნოქრები **არავითარ მიტინგს არ მართავენ** და არც კავშირის დაარსებას აპირობენ, რადგან ისინი ნაძალადევის მიტინგზე დაიარებიან და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან აქვთ კავშირი.

◆ ტფილისის მესტამბე ლიბერმანმა თავის მუშებს გაფიცულ დღეების ხელფასი არ მისცა. ამის გამო მუშებსა და მესტამბეს შორის **განხეთქილება ჩამოვარდა** და მუშები გაიფიცნენ. საქმეში ჩაერია სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელობით მოხდა ტფილისის სტამბების წარმომადგენელთა კრება. კრებამ ერთხმად თანაგრძნობა გამოუცხადა გაფიცულ ამხანაგებს და დაადგინა—წინადადება მიეცეს ლიბერმანს, რომ დააკმაყოფილოს მუშათა მოთხოვნილებანი: 1, წინანდელ და ახლანდელ გაფიცვის დღეების ხელფასი უკლებლად მისცეს; 2, ვინც დღიურად მუშაობდა, ისინი თვიურ ჯამაგირში აიყვანოს; 3, შაბათობითა და უქმე-დღეების წინა დღით 6 საათზე მეტი არ ამუშაოს არავინ, როგორც ეს სხვა სტამბებშია დაწესებული, და 4, სანამ ყველა ამ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებს, ლიბერმანის მუშები გაფიცვას განაგრძობენ. ამასთანავე ხსენებულმა კრებამ დაადგინა, თუ საჭიროებამ მოითხოვოს, გაფიცულ ამხანაგებს სხვა მუშებმა ქონებრივი დახმარება უნდა აღმოუჩინონო. ეს დადგენილება ეცნობა ლიბერმანს, რომელმაც უკვე დააკმაყოფილა მომუშავეთა მოთხოვნილება და იმათაც განაახლეს მუშაობა.

◆ ეს რამდენიმე დღეა, სომხური გაზეთი «ნორ-დარი» **აღარ გამოდის**. მიზეზი მომუშავეთა გაფიცვაა, რომელთაც მოითხოვეს გაფიცვის დღეების ხელფასი, მაგრამ რედაქტორმა ცივი უარი განაცხადა.

◆ ბაქოდან გვატყობინებენ, რომ იქაურს ქართველებს ხელის მოწერა გაუმართავთ გურიაში უკანასკნელ ამბების დროს **კაზაკებისგან გადამწვარ და დახოცილ ოჯახობის სასარგებლოდ**. შემოწირულებას იღებენ შემდეგნი: სამთო ინჟენერი თავ. ი. ი. დადიანი (თავის კანტორაში), ი. ა. მანსვეტოვი (ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის საააგენტოში) და ლ. კ. მამულაიშვილი (სამაზრო მომრიგ. სასამართლოს განყოფილებაში).

◆ ამ ჟამად ქუთათურ გაუმაძღარ ვაჭრებს **საშინლად დაუძვირებიათ ყოველგვარი სანოვაგე და უველაფერს მამასისხლადა ჰყიდიან**. სოციალისტ-რევოლუციონერთა ქუთაისის ჯგუფს ამის გამო პროკლამაცია გამოუცია ქუთათურ ბურჟუების წინააღმდეგ. ამ პროკლამაციებში სასტიკად ჰგმობენ ასეთს უგვანო საქციელს ვაჭრებისას, რომელნიც გაჭირვების დროსაც კი არ ინდობენ ღარიბ ხალხს, რომელიც თავისუფლების მოსაპოვებლად თავის სიცოცხლესაც კი არა ზოგავს. სოციალისტ-რევოლუციონერთა ქუთაისის კომიტეტი მოითხოვს ვაჭრებისაგან, ხალხის ამგვარ ძარცვა-გლეჯას თავი დაანებეთო.

◆ ოთხშაბათს, 9 ნოემბერს, ტფილისის მიწის მზომელთა სასწავლებლის მოწაფეებმა საერთო კრებაზე, ხმის უმეტესობით, დაადგინეს. განვიხილეთ რა კითხვა,—კანონიერი იყო თუ არა მოწაფეთა დელეგატების კრება, რომელიც მეორე გიმნაზიაში 7 ნოემბერს მოხდა, ხმის უმეტესობით გადავსწყვიტეთ, რომ ზემოხსენებული კრება არ იყო კანონიერი, რადგანაც მას ყველა სასწავლებელთა დელეგატები არ დასწრებიან, როგორც ეს 5 ნოემბრის მოწაფეთა მიტინგმა დაადგინა. ამიტომ მიწის მზომელთა სასწავლებელი არ ეთანხმება დელეგატების გადაწყვეტილებას და მოითხოვს ხელ-ახალ კრების მოწვევას, რომელსაც ყველა სასწავლებლების დელეგატები დაესწრებიან და კითხვას საბოლოოდ გადასწყვეტენ. ამავე რეზოლუციას მიემხრენ სამხატვრო, ტეხნიკური, სათავად-აზნაურო, გიმნაზია, სახელოსნო, სამოქალაქო, საფერშლო, სამეურნეო და რკინის გზის სასწავლებელი. საჭიროა სხვებმაც ამოიღონ ხმა ასეთ ფრიად საგულისხმო კითხვაზე.

◆ **სად. ხაშურიდან** გვატყობინებენ; 9 ნოემბერს, რვა საათზე, **რვა შეიარაღებული კაცი თავის სახლში თავს დაეცა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს ნოვიცკს**. აივანზე გამოსულს ნოვიცკს, ერთმა მათგანმა რევოლვერი დაუმიზნა, მაგრამ არ გავარდა. ნოვიცკიმ რევოლვერი ესროლა თავსდამსხმელთ და სახლში შემალა. შეიარაღებულნი გაიქცნენ. ხაშურში დაბანაკებულ ჯარის ერთმა ნაწილმა გაიგონა რა ხმა რევოლვერისა, ამ სიბნელეში სროლა ასტეხა. საბედნიეროდ, არავინ მომკვდარა, ხოლო სახლების სახურავები დახვრიტეს. შეშინებულმა მედუქნეებმა დუქნების დაკეტვა დაიწყეს, ზოგიერთმა დახურვა ვერ მოასწრო და სახლებში გაიქცა. გაღებული დუქნები იმ ღამეს გაჰქურდეს სხვადასხვა პირებმა.

◆ ჯულფის გზის ულუხანლუს კანტორშჩიკის საზოსთვის 9 ნოემბერს, ვიღაცას თავში კეტი დაურტყავს, დაურეტიანებია და მერე მთელი დღის შემოსავალი 1818 მანათი წაურთმევია. გამოძიება სწარმოებს.

◆ კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით, ბათუმსა, ბათუმის ოლქსა და კინტრიშის ხეობაზე **სამხედრო წესები გაუქმდა**.

◆ ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ქალი ნინო ჩხეიძე ავად გახდა და **სამკურნალოდ პარიზში წავიდა**.

◆ გურია-სამეგრელოს ახლად დანიშნული ეპისკოპოსი გიორგი, როგორც გავიგეთ, იმ კვირია გაემგზავრა **თავის სამწყსოში**. კვირას, 13 ნოემბერს მოხდება დეკანოზ პეტრე კონჩოშვილის ხიროტონია.

◆ კვირას, 13 ნოემბერს, სამეურნეო საზოგადოების შენობაში დანიშნულია **სახალხო კითხვა—წარმოდგენების გამმართველ საზოგადოების წევრთა კრება**, რომელიც განიხილავს წარსული წლის მოქმედების ანგარიშს, აირჩევს სარევიზიო კომისიისა და გამგეობის წევრებს და ითათბირებს იმის შესახებ, თუ მომავალში როგორ იმოქმედოს.

◆ ტფილისის ქალაქის თვით-მართველობის მოსამსახურეებმა გამოსცეს **მოწოდება**, რომლითაც ერთმანეთს იწვევენ ნაყოფიერ მოქმედებისათვის.

◆ სამშაბათს, 15 ნოემბერს, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების შენობაში, დანიშნულია კავკასიის **ფარმაცევტთა საზოგადოების** წევრთა კრება, რომელიც, სხვათა შორის, განიხილავს იმ საკითხებს, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტიდან გამომდინარეობს.

◆ თუმცა მთელს ქალაქში გაუქმებულ იქმნა სამხედრო წესები და ყველგან მოისპო პატრულების სიარული, მაგრამ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ყველა განყოფილებებში კიდევა სდგანან თოფიანი ჯარის კაცები და რაღაცას უდარაჯებენ. ერთი ვკითხოთ, რას აკეთებენ ეს სალდათები იქ, სადაც მათი ყოფნა სრულებით საჭირო არ არის?

◆ ორშაბათს, 7 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს დარბაზში კრება ჰქონდათ ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეებს. ქალაქის გამგეობამ ეს კრება მოიწვია იმიტომ, რომ ელექტრონის ტრამვაის ბილეთები ერთმანეთს შორის განეწილებინათ, მაგრამ მოსამსახურეებს ამ საგანზე ლაპარაკი სულაც არა ჰქონდათ. ლაპარაკი ჩამოვარდა მაშინვე თვითმმართველობის მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და გამოითქვა ის აზრი, რომ საჭიროა: 1) დაარსონ თვითმმართველობის მოსამსახურეთა კავშირი, 2) გამოარკვიონ თავიანთი დამოკიდებულება ქალაქის „მამებთან", რომელნიც 29 აგვისტოს სისხლის ღვრის შემდეგ თანამდებობიდან გადადგნენ და შემდეგ ისევ დაიჭირეს თავიანთი ადგილები, და 3) გამოარკვიონ თავიანთი დამოკიდებულება აგრეთვე ტფილისის მცხოვრებლებთან, რომელთა ნდობაც ქალაქის „მამებმა" სულ მთლად დაჰკარგეს. რამდენიმე ორატორმა სასტიკად გაჰკიცხა ხმოსანთა პოლიტიკა, მათი უნაყოფო მოქმედება და სთქვა: თუ თვითონ ვერ გრძნობენ გადადგომის საჭიროებას, ჩვენ დავანახვოთ, რათა ან ისინი გადადგენით, ან ჩვენ ყველანი წავიდეთო. მოუვანილ იქმნა მაგალითი მოსკოვის ქალაქის

'მინაურულად როლისმე ,,[illegible]'' [illegible] (ყველანი იცინიან).

ანანა. (ხუმრობით—ქოქოლით) უი! შენ კი ამოვარდი, ეჰაანდე!

კატო. რას მერჩი, ადამიანო! ,,პეტრებურხში'' რას იტყვიან, მე რო მოვკვდე?! (ყველანი იცინიან).

ბარბაროვი. (ხუმრობით) ტრუბეცკოისეფ გგლოვებენ!

გრიქორა (ტაშის შემოკვრით) პა, პა, პა! რა ამბით დაუმარხიათ და! ჯერ მარტო ,,ვენოკები'' რა დაუჯდებოდათ! ამბობენ: პირველი ,,საცვიალისტი'' ეგ იყოო! Гаварайть, всо онъ минаватъ на эта бунтъ! (ამის რუსულზე ყველა იღიმება).

კნიაჟ. თალო. ხო და, რაც ადრე და მალე გაილაგდებიან მაგისთანა ხალხი, მით უკეთესია! (ისმის ხმები: ოღონდაც! სიცოცხლე იყო მაგათგან ჩამწარებული! ღმერთიც უშველის, ვინც ეს ,,ნაჩალნიკი'' გამოგვიგზავნა!—ამან მოუგრიხა აგა თ კისერი''!).

ანანა. არა, ქა, ქალებიც რომ მარაქაში ერევიან! (ქოქოლით) იჰ! მეხი კი ჩავა ხლიშე უნამუსო თავებში!

კატო. (დაცინვით) მაშა, ქა! ისინიც ,,სოსიამეკრამიტეებში'' (ვითომ სოც.-დემ.) ბძანდებიან! ასეთი, ხორხორი გაუდით ციხეში! (ისმის ხმები: ,,წმინდა წყლისანი იქნებიან და იმიტომ! ქვას ქვეშ მაგისთანა ქალები! ქარ-მეხი დაეცეთ''!).

ტასო (დაცინვით) რა ჰქმნან საწყლებმა,—გათხოვდებიან მაინცა!

კატო (ორაზროვანათ) გათხოვება რათ უნდათ, ქა?!—ყველაფერში „ერთობაა"!—(ყველანი სიცილითა კვდებიან)

ანანა (ჩქმეტით) უი, შე არ დასარჩენო, შენა! უხ! ღმერთიც გიშველის, გამაცინე! (კავების გრეხით) ი-ი-იჰ, გენაცვალეთ! ძლივს ისევ არ გველირსა თვალის გახელა! ამ არეულობებისგან ადამიანი ადამიანთან კი ვეღარ მადიოდა და! დავნატრულდი ჩვენ ჩაეუჟუნებულ ,,ლოქოს''! (ისმის ხმები: „მეცა, მეცა, შენ არ მომიკვდე! დაჩვეულობა რას ნიშნავს! რაც მე მაგათ ვწყევლიდი! მე—უარესათ!").

კატო. ქა, თანაც რო კინაღამ ,,ნალოგი'' დაგვადეს! ვინც ქალალდს ითამაშებს, ამდენ-ამდენი უნდა გადაიხადოს „კამიტეტისთვისაო"! (სიცილით) უჩურჩულეთ ანანასა! სუ „ასსიგნაცებს" არ გადაუწყობდა!

ანანა. შხამათ შეერგოთ!—ისე კი ცოტა წაგვართვეს?! (ისმის ხმები: ,,მაშა! მაშა! სამყოფი არ აგროვეს''?!).

თავ. ნიკო. მამა უცხონდებათ, არც ერთ თუმანს ჩაიქისავენ ჯიბეში! სახელი სხვისა იყო, სახრავი—თავიანთი? (ისმის ხმები: ,,იმდენი იცოცხლე! [illegible] არის და, მართლა ხალხის მამად ადგათ''!).

გრიქორა. თვითონ ი ,,ასისთავებმა'' კი ხელი დაიწყეს, ცოტა იზურგულეს?! ყაჩაღი-სათოკეები! არა, რომელი ,,სუდია-პროკურორები'' ბძანდებოდნენ, რო ხუთას-ექვსასი თუმნის მამული ჩამომართვეს და თანაც „შტრაფი" გადამახდევინეს?! (ყველანი სიცილით ამბობენ: ,,საწყალი გრიქორა''!) ,,არმათა გაქვს შეძენილი—ვისიც არი, დაუბრუნეო'' კაცო! თუ კი არამი იყო, მაშ ,,სუდმა'' და ,,პალატამ'' რაღათ მომანიჭა?!.. როდის ხნის დავიდარაბა მეორეთ გადაჩხრიკეს და... პუპლუს! პირ ცარიელი დამსვეს! არ მიმეცა?—ისეთ ალაგას მოასწრებდნენ, რო, მგონი, ზიარებაც ვეღარ მღირსებოდა! (ისმის ხმები: ,,მაშ! მაშ! კიდეც ეგ არი ცეცხლი''!).

ანანა. (კავების გრეხით) ი-ი-იჰ, გენაცვალეთ! რას ბძანებთ! გავტყავდით, რაღა, გავტყავდით! კიდევ კარგი, რო პირში სული შეგვარჩინეს! უნდა საწირავი დაუკლა წმინდა გიორგის, ვენაცვალე იმი მადლსა! (სხვებთან ერთად, პირჯვარს იწერს) ამ ზაფხულს შევუთქვი—ოღონც ქვეყანა დაწყნარდეს მეთქი! (ისმის ხმები: ,,მეცა! მე ჰედილა მყავს მზათა! მე სანთლები გადავდე! მაშ ერთად ვილოცოთ''!).

ბარბაროვი. (ხელების სრესით) Ну-съ! ეხლა კი, რაც ჩვენი საწყალი პატარა ქალაქი наконецъ-то დამშვიდდა, შეგვიძლიან ძველებურად ვიქეიფოთ, არა, გრიქორ სტეფანიჩ? ქუდი ჰერში ვკრათ! ხა, ხა, ხა! (თვალს უშვრება და—თითის ქნევით) ვიცი, ვიცი, რო იმ ხალხის დაჭერა ყველაზე ძიენ თქვენ გიხარიანთ!

გრიქორა. აი, ეგ საციანბიროები, ეგენი. Повѣшвиитъ нада эта сацвіалистъ мерзавица! (ყველანი იცინიან).

ანანა (შიშით აქეთ-იქით მიიხედავს და კალთას დასწევს) სსუ...უ, კაცო, სსუ... უ!.. ჩუმათ!.. არავინ გაგიგონოს!

გრიქორა (არხეინათ) ვიღა არის, ვინ უნდა გამიგონოს?! როგორც ნავავს, ისე მოუსვეს ხელი! ვერ გადახდათ ჩემი ცოდო?! ღმერთს სამართალი არა ჰქონდა?! ისეთ ღრუბერნიაშია უკრეს თავი, რო, მგონი, თავის დღეშიაც ვეღარა ნახონ აქაური ხაერი! ვენაცვალე ყაზახებსა! იმათმა მარჯვენამ იხაროს! მართალია, არც ისინი მაყრიან ხეირსა—დუქნებს მიკლებენ... მაგრამ რათ მიღირს, რო, როცა მინდა, მაშინ ვაღებ და ვკეტავ მაღაზიებსა?! (ისმის ხმები „ამდენი „ზაბასტოვკებით" დაგვამშიეს, გეთაყვა!") ეხლა, მინდა ამ „პრიკაშჩიკს" გავაგდებ, მინდა—იმას! ჩემი ურჩი შვილიც არ არ მეკნაქება! ვის რასა ვკითხამ?! ჩემ სარჩოსთან ვის რა დავა აქვს?! როგორც მეჭეფება, ისე გავცემ ჩემ ფულსა! ავიდე სოფელში!—ჯერ სარშანდელი სარგებელიც არ მოუციათ! — „ზეკუცის" სუსხი ვაჭებთა! მგონი, სიმწარით, თვითონვე მიგებენ ი „ერთობის" მომგონი! (ყველანი სიცილით ამბობენ: ოხ! ნეტა არ იქნება!") ასე ეგონათ—ეს-ეს არი, ყურთაგლეჯიაობაა და შეგვრჩაო! (თავის ქნევით) ა... ა.. აიჰ! ჯერ გრიქორას არ იცნობენ! (ისმის ხმები: „გლეხებიც როგორ გაირყვნენ!").

ბარბაროვი. (სავსე სტაქნით ხელში) მაშ ალლავერდი თქვენთან! ეს ღმერთმა ის აცოცხლოს, ვინც ეს არეულობა დაამშვიდა!

ყველანი (აღტაცებულნი) ამინ! ამინ! დიდი განძი ეკუთვნის ჩვენგან იმასა!—სხვაგან, მეორეთ მოსვლაა, აქ კი ჩამი-ჩუმიც არ ისმის!").

კატო. ამინ და კრიანოსალი! (ვითომ ხუმრობით) არეულობა რო არ ჩამქრალიყო, ხო აქაც ვერ მოვიდოდი და სამ აბაზს ვერ მოვიგებდი! ღმერთიც უშველის ახალ „ნაჩალიკსა!"—ხორცის ფული გამიჩინა! (ყველანი იცინიან).

ბარბაროვი. (ვითომ ხუმრობით) მეც კაი საქმე მომივიდა—ხუთი მანათი ჩავიქისე! ხა, ხა, ხა! ვითომ ავათმყოფთან ვყოფილვარ—ორი „ვიზიტის" ფულია. ничего, и то хлѣбъ.

კატო (ჩუმათ—ანანას) რა ჰქნას, საწყალმა, დახამებულია ,,პრაქტიკას.'' რომ არავინ იწვევს. ყველას აპარჰკებს. მუცლის გვრემას ტვინის ანთებას ეძახის.

ანანა. (აგრეთვე ჩუმათ) მა რა იქნება ქა! ერთავათ ქალებში ზის და ჭორაობს! ლოტოშიაც რო ჩაგვერევა ხოლმე! იჰ, მეხი კი ჩავათხლიშე მაგი დოხტურობასა! „ზნაჩოკსაც" რო არ იშორებს გულიდანა! ფიე! (ორთავენი ჩუმ-ჩუმად კისკისებენ)

კნ. ნინო. ეს კი სუ იმ „ბლუზიანი'' ბიჭ-ბუჭების ამბები იყო, აი!

კატო. ,,კიზიროკებიანისა!'' სუ ჯგუფ-ჯგუფათ ისტუმრებენ! გუშინაც დაიჭირეს მთელი ხროვა! (ისმის ხმები: ,,ახია, ახი! ეგრე უნდა, ეგრე! ესეც დასაჭერია—გაზეთში სწერს! ის ხო ,,პრატესტანტია''—საყდარში არ დაიარება! იმან, იმდღეს, ქუდი არ მოუხადა ,,ნაჩალიკს!'' ამას ხო სუ წითელი ხალათი აცვია!'')

კნ. ნინო. მაინც რო არ ისვენებენ! ღვთის მადლით, აქ კი აღარაფერი, მაგრამ სხვაგან... აგერ მერამდენე დღეა, ,,პოეზდი'' აღარ მოსულა! (ისმის ხმები: ,,მაშა! მაშა! ქალაქში წასასვლელი ვიყავი, გაუწყდეთ სახელი! მეც ,,შლაპა'' უნდა მეყიდა! მე—პალტო! მე საკაბე!'')

კნიაჟ. თალო. არა, ღმერთმანი, მაინც რა მინდათ?—უმფროსი უნდა გადმოსვან და თვითონ დაჯდნენ ტახტზე?! (ისმის ხმები: ,,სანამ ნურა ჰქმონ რა! ღმერთმა ნუ ქნას, ბებრის ბუქნა! რუსეთში ბევრი ჯარია: მისამარას, თავის ქერქში ეყარონ, თორე...ე...ე!'')

გრიქორა. კაცო, სუყველაფერი ხო ერთბაშათ არ იქნება?! ჯერ-ჯერობით ხო გულის წადილი აგვისრულეს: ე საყდრის მამულები დაგვიბრუნეს... (ისმის ხმები: ,,გასუდარსტვენი დუმა'' დანიშნეს... მოსავალს მოცდა უნდა! მაგათ ყველაფერი ფაფასეეფ ერთ დღეს უნდათ!'')

კნიაჟ. თალო. ,,წამწყმინდა წახედულობაშაო!'' მაგათ მიხედვით რო პატარებიც უარესსა სჩადიან! თურმე აღარც ისინი სწავლობენ!

ანანა. მაშა, გენაცვალე, მაშა! ერთი-ერთმანეთსა ჰბაძავენ, თორე ჩემმა უსუარმა შვილმა რა იცის, ,,ბუნტი'' რა არი?! ეს მეორე წელიწადია, ამაოთ ვაძლევთ გიმნაზიაში ფულსა. ი... ი...ი-იჰ, რას იძახებთ. რაც ჩვენ ზარალი მოგვივიდა. (ისმის ხმები: ,,ჩვენ კი არა?.)

კატო. აგერ ჩემი დისწული კი არ არი, რო ფეხით მოვიდა ქალაქიდან. სწავლა რო არ არი, რა შკოლებიც ჩაკეტილია, თურმე.

გრიქორა (ადაშვილს) რას ამბობ, კაცო. დავიღუპე, რაღა. Погубайтъ, совсэмъ погубайтъ! ყელი გამომჭრა ამ ,,დემაკრატიაობამ.'' По кускамъ зарэзиль. (ყველანი იცინიან)

ადაშვილი. ვინ მოსწავლეები, ვინ გაფიცვა?. სუ გასატყეპლები არიან ეს სტუდენტები. Бить ихъ надо, бить (ისმის ხმები: ,,სუ იფნის სახრითა.'') ან რა მაგათი ტოლები არიან: კარეტნიკიო, პრიკასჩიკიო...

გრიქორა. ჰმ, მაგათ არ გადამირიეს. ო...ოხ. ალექსანდრ ივანიჩ. შენ სიკეთეს თავის დღეში ვერ გადავიხდი. (თვალს უშვრება) გავიგე, გავიგე, რა „სტუკაც" უყავით მაგ თოკიდან ახსნილებსა! (ადაშვილი და მისი ცოლი შიშით აქეთ-იქით იხედებიან) მაშ კაცი არ ვიქნები, თუ შენ ,,გალავათ'' არ აგარჩევინე. (ისმის ხმები: ,,უთუოდ! უთუოდ! ამაზე უკეთესი სხვა ვიღა გვყავს?!'' ადაშვილი და მისი ცოლი სიამოვნებით იღიმებიან და მდაბლად თავს უკრავენ).

ტასო (პრანჭვით). ფი...იფ! ჩემი ქმარი თავის დღეში мальчишк-ების ტოლი არა ხდებოდა და კიდეც იმიტომ აითვალწუნეს! რა ხმას არ უყრიან! ,,შპიონობაც'' კი დასწამეს!

თავ. მიშო (თავს მოისაწყლებს) აი, მეც ეგრე, представьте себѣ!

გრიქორა. ეგეც გავიგე! (თვალს უშვრება) შენთვისაც კაი ფეშქაში მაქვს! (თავ. მიშო იღრიჯება) ვა! მე ხო არსად ვიტყვი! რათა გწყინს, რა, ცოდოა მაგისთანა ,,კატრიჟნიკებს'' გაბმა?! (ისმის ხმები: ,,ცოდო კი არა, მადლია!'') თქვენ ოღონც ჩვენი ქალაქი გაასუფთავეთ!..

ადაშვილი (ხელების შლით). Помилуйте! მოსვენება აღარ იყო მაგათგანა, ვინც მაგათ აზრს არ ეთანხმებოდა, ვინც თავად-აზნაურობას და ვაჭრებს არ ემტერებოდა, იმწავე ჰკლავდნენ! (როცა მოახელებდა კი, პირველი თვითონვა ლანძღავდა და ,,არშინნიკებს'' ეძახდა სომხებს) მეც ავდექი და სამსახურს თავი დავანებე! (ხელის ქნევით) ჩუ, Богъ съ ними, совсѣмъ! მაშ ჩემი ცოლ-შვილი ვიღას შეენახა?! (,,პროგრესისტებთან'' კი სულ სხვანაირათა ხნიდა თავის ,,ოტსტავკას'').

კნიაჟ. თალო. ბიჩა, ამ საწყლებმაც რა ჰქნან?! ესენიც ორ ცეცხლშუა არიან! მართლა, მუქთად კი არ აძლევენ ჯამაგირებსა!

ტასო. თქვენ ეგა ბძანეთ! ჩვენ კი ჭამა არ გვინდა?!

გრიქორა (აჯავრებს) ,,წმინდა საქმეს ვემსახურებითო''! ისე მამა უცხონდებათ! ვისაც ვისი ჯავრი სჭირს, ეხლა იყრის! (ისმის ხმები: ,,გწამთ კი წმინდანები, გაგიწყრათ იმათი მადლი-თქო?!")

თავ. მიშო. Вотъ дураки! კაცის კვლა რა წმინდა საქმეა?! (თვითონ კი გლეხებს ატყავებდა, თანაც პირველი ,,სკანდალისტი'' იყო).

ბარბაროვი. არა, ჩემ ,,პრაქტიკასთან'' რაღა ესაქმებოდათ, თორე კიდევ ჰო! რეები არ მომიგონეს, რა არ ჩამიწერეს გაზეთებში! (დაცინვით) ,,ბალნიცას'' ჭუჭყიანად ინახავსო... ჰმ! არაფერი ესმის და ,,პაციენტებს'' კი ევაჭრებაო! ხა, ხა, ხა! ,,ბურჟუაა'', გლეხებს ატყავებსო! ნეტა კაპიკს ვართმევდე!

კატო (ჩუმად—ანანას). დიაღ, რა კაცია! ,,შაგს'' არ გადასდგამს უფულოდ! სიხარბით ხორველობასაც კი ნატრობდა!

ანანა (აგრეთვე ჩუმად). რას ამბობ! ერთი ნავსი! უბედური! ხელები უკანკალებს, ,,ბანქს'' რო თამაშობს! (ჩუმ-ჩუმად კისკისებენ).

თავ. ნიკო. აბა, კიდეც ი რედაქტორები არიან გასატყეპლები, რო დაბახანად გაუხდიათ თავიანთი გაზეთი!

კნ. ნინო. თან კი სახელმწიფოს პირს აბდღენიან — ,,სვაბოდა სლოვაო''. მაგაზე მეტი ,,სვაბოდა'' რაღა უნდათ, გეთაყვანე: ყოველ დღე ლაფში გვსვრიან!

თავ. მიშო. მეტადრე ქართული გაზეთები!—ნამდვილი პროკლამაციაა! (ისმის ხმები: ,,ნეტა ისინი რაღას მიჰქარამენ?! იმათაც ერგოთ?).

კნიაჟ. თალო. რაც უნდა, არახუნონ!—,,ძაღლი ჰყეფს და ქარს მიაქვსო!'' (ისმის ზარის წკარუნი).

კატო (წამოვარდება). ეს ჩემი დისწული, შაქრო, იქნება—ჩემ წასაყვანად მოვიდოდა... (დანარჩენი სტუმრებიც წამოიშლებიან და ამბობენ: ,,ჩვენ აქ ლაპარაკში გავებით და ხანი კი გაგვეპარა!'')

კნ. ნინო. მოითმინეთ, გეთაყვა, რა გეჩქარებათ? (ამ დროს გაბრწყინვალებულის სახით შემორბის კატოს დისწული, შაქრო—19 წლისა, მერვე კლასის გიმნაზიელი.

შაქრო (აღტაცებული, ჰერში ქუდს ისვრის). გაუმარჯოს თავისუფლებას! да здравствуетъ свобода. (ყველანი შიშით აქეთ-იქით იხედებიან და ხმა-დაბლა აცრთხილებენ: „სს!... შშ?...

---

*) გუშინდელ ნომერში ჯამი შეცდომით არის გამოყვანილი—610—10; უნდა იყოს 612—90. ამას გარდა ნაჩვენები არ არის, რომ 43—95 კ. შეგროვილია პ. დადვაძისაგან. ერთი შემომწირველის სახელი შეცდომითაა დაბეჭდილი: კნეინა ილია თუმანიშვილისაგან შემოვიდა 100 მან.; უნდა იყოს: „კნ. იულია კონსტანტინეს ასულის თუმან[illegible]ან" და სხვ.

ეროვნული

მოურავისა, რომელმაც სთქვა: „ცხოვრებამ გამასწრო“, და მოურაობასაც თავი გაანება. დასასრულ კრებამ აირჩია კომისია ათის კაცისაგან, რომელსაც მასალა ვრცელის მოხსენებისა შეუმუშავებს გაზეთის დაარსების შესახებ. კრება დღეს, საღამოთი მოიხდება.

◆ ამ დღეებში გაზეთებმა აღნიშნეს, რომ ტფილისის სასულიერო სემინარიის საბჭოს სხდომაზე ბლ. მ. კალისტრატე ცინცაძემ, რაღაც ინციდენტის გამო, კრებას თავი დაანებაო. ამ საგნის შესახებ დანამდვილებით გავიგეთ შემდეგი: საბჭოს სხდომაზე მ. ცინცაძეს, სხვათა შორის, განცხადება შეუტანია — საშინაო სემინარიის საქმეებს კონტროლი თვითონ სამღვდელოებამ გაუწიოსო. რექტორს ამის პასუხად უთქვამს: ეგ თქვენი აზრი მე ცნობილი იგავს „ვირსა და ბულბულს“ მაგონებსო... მ. ცინცაძეს პროტესტი განუცხადებია და საბჭოს წევრობაზედაც ხელი აუღია. რექტორს ბოდიშის მოსახდელი წერილი მიუწერია ბლ. ცინცაძისთვის. ტფილისის სამღვდელოება დაბეჯითებით თხოვს მ. ცინცაძეს საქმის დაწვრილებითი ვითარება გამოაქვეყნოს.

◆ გუშინ, 10 ნოემბერს, საქართველოს ეგზარხოსი ნამესტნიკთან იყო ეკლესიის საქმეებზე მოსალაპარაკებლად.

◆ 9 ნოემბერს, საღამოს 9 საათსა და 15 წუთზე, სადგურებ კარატაპასა და აგტაგლის შუა შემაძრწუნებელი უბედურება დატრიალდა: აქედანა და იქიდან მომავალი სახალხო მატარებლები № 4 და 17 ერთმანეთს დაეჯახა. დაიმტვრა 17 ვაგონი. მემანქანენი ანიკოლოვოვი და გორჩინი გადარჩნენ. მგზავრთაგან მოკვდა 5 კაცი, დაშავდა 25, — მათგან ზოგი სასიკვდილოდაა დაშავებული.

◆ ქალაქის ხორცის დუქნების გამგედ ნაშოვმა ბ-ნმა ჩილინგაროვმა ქალაქის გამგეობას მოხსენება წარუდგინა, რომლიდანაც სჩანს, რომ ხორცის დუქნების საქმეები ძალიან უთავბოლოდ უწარმოებიათ. სხვათა შორის, არ არსებობს საინვენტარო წიგნი, სამმელო წიგნში არ არის შეტანილი ის ადგილები, რომელიც ქალაქმა 1904 წელს შეიძინა, არა სჩანს კასის წიგნი, წვრილმანი ანგარიშები გადარეულია, რამდენიმე ანგარიში დასრულებული არ არის, ამ ანგარიშებით არა სჩანს ფული მიღებულია თუ არა, თუ მიღებულია, ვისგან. საბუღალტერო ნაწილში, ერთის სიტყვით, ისეა ყველაფერი არეულ', რომ ქალაქს იაფად არ დაუჯდება საქმის მოწესრიგება.

◆ ტფილისის საოლქო სასამართლოს სიღნაღში გაგზავნილ სესიის თავმჯდომარისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „გადმოგეცა სახალხო მიტინგის დადგენილება, სხდომების შეწყვეტისა და სიღნაღიდან წასვლის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოიკოტს გამოგიცხადებთო“. მართლადაც, მეორე დღეს სასამართლოში არავინ არ გამოცხადებულა.

◆ სასულიერო სემინარიის მთავრობამ უკვე დაასრულა სხდომები სემინარიის რეორგანიზაციის შესახებ. მიღებულ იქმნა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის პროექტი. სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიის ოთხი კლასის კურსი გიმნაზიების რვა კლასის კურსს უნდა შეუფარდდეს, ასე რომ, მოსწავლეებს სემინარიის ოთხი კლასის დასრულების შემდეგ სრული უფლება ექმნებათ უნივერსიტეტებსა და აკადემიაში შესვლისა. მღვდლობის მოსურნეთათვის სემინარიასთან დაარსდება ორი სპეციალური საღვთისმეტყველო კლასი. სწავლების საქმეში სამშობლო ენას შესაფერი ადგილი დაეთმობა. სემინარიის მთავრობის ეს პროექტი ამ დღეებში გაიგზავნება სინოდში.

◆ ტფილისის სასულიერო სემინარიის ახალი შენობა უკვე დაამთავრეს. სემინარიის მთავრობამ გუშინ, 10 ნოემბერს, უკვე ჩაიბარა ეს შენობა მოიჯარადრეთაგან.

◆ გუშინ-წინ, 9 ნოემბერს, ოლგის ქუჩაზე, შეგროვილმა ხალხმა შეიპყრო სამი ქურდი და გაასამართლა. სასჯელი ასეთი იყო: სამივეს თავისივე ხელით პირზე მური წაასმევინეს, ერთი მათგანი ვირზე პირუკუღმა შესვეს, ხოლო ერთი წინ გაუმძღვარეს და მეორე უკან გააყოლეს. ვირზე მჯდომს ხელში შავი დროშა ეჭირა, რომელზედაც თეთრის ასოებით იყო წარწერილი: „უნამუსოები ვართ, ძირს ქურდობაო“. ქურდებს ამ სახით სამი ქუჩა შემოატარეს და შემდეგ გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ აღარ იქურდებენ და თავის ამხანაგებსაც დაასახელებენ.

◆ გუშინ-წინ, 10 ნოემბერს, ვორონცოვის ხიდთან ელექტრონის ტრამვაის ვაგონი ერთ მათხოვარ დედაკაცს დაეჯახა და ფეხი მოსწყვიტა.

◆ სამის დღის წინად ტფილისში სავაჭროდ მოდიოდა დავით უსუფ-ოღლი. გზაზე დახვედრიან ყვითელ-პაგონებიანი სალდათები. უსუფ-ოღლისთვის უცემიათ და ფულად 390 მანათი წაურთმევიათ. უსუფ-ოღლი ამბობს, ორს სალდათთაგანს სახით ვიცნობო. საქმე ამჟამად გამომძიებელთან იწარმოებს.

◆ 3 ნოემბერს, ღამით, კახეთის შოსსეზე ვაგზლიდან მოდიოდა მედუქნე მარტიროსოვი და „ტაჭკით“ თევზი მოჰქონდა. უცებ ორი დრაგუნი დაეცა, თევზი მოსტაცა და ფულად ერთი თუმანი წაიღო. მარტიროსოვმა ეს ამბავი იქვე მდგომ პოლიციელს განუცხადა, რომელიც სალდათებს გამოუდგა, მაგრამ ვერ დაიჭირა.

◆ ნავთლუღში, „ოპოზნი“ ბატალიონთან, დაბანაკებულია განჯის პოლკის ჯარის ერთი ნაწილი. ორმა სალდათმა შენიშნა, რომ უნტერ-ოფიცრები: თეოდორე დუნოვი და ივანე პაშკინი ლოთობდნენ და გვერდზე ვერცხლის ხანჯალი ედოთ. სალდათებმა უნტერ-ოფიცრებს ხანჯალი წაართვეს და ოფიცერს მისცეს. შემდეგ გამოირკვა, რომ უნტერ-ოფიცრებს ნესტორ გაბუნიას დუქანი გაუტეხნიათ და ამ ხანჯალთან გამოუტანიათ სამი „ვედრო“ არაყი და ოცი მანათი ფული.

კორესპონდენცია

დ. ცხინვალი. ცხინვალელებს, მეტადრე აქაურ ურიებს, რაღაც ღმერთი არა სწყალობთ. ჯერ იყო და ამ სამი წლის წინად წაეკიდა ცეცხლი და ნახევარ ცხინვალი სულ გადიწვა, მომეტებულად ურიები. რის ვაი-ვაგლახით, ძლივს ააშენეს თავშესაფარი სახლები. ახლა კიდევ ხელმეორედ, 18 ოქტომბერს, ესე ღამის ორს საათზე, წაეკიდა ცეცხლი ერთ სახლს, სადაც თურმე ნაშხობა ჰქონდათ, საუბედუროდ, იმ ღამეს ქარი ჰქროდა, რამაც უფრო გააძლიერა ცეცხლი, და ვერც დროზე გაიგეს ცეცხლის მოკიდება. იმ სახლიდან გადავიდა სხვაზე და მთლად ურიების უბანი ასს ოჯახამდე სრულიად გადაიწვა. დარჩა ეს ამოდენა ხალხი ამ ცივ-ზამთარში გარედ, უსახლ-კაროდ, და არ იციან, სად შეაფარონ თავი. ცეცხლი მეორე დღეს, საღამოს ოთხს საათზე, ძლივს გააქრეს. მიზეზი გაუფრთხილებლობაა.

24 და 25 ოქტომბერს აქ მოხდა გაფიცვა, მაგრამ აქ მდგომმა ჯარმა, უფროსის ბრძანებით, დუქნები სრულიად დაამტვრია და ისე ძალით გააღებინა.

წელს ცხინვალისა და ჯავის ნაწილიდან სამხედრო ბეგარის მოსახდელად უნდა წაეყვანათ სულ 422 კაცი. მაგრამ, რადგანაც ბევრი არ გამოცხადდა კენჭის ამოსაღებად, ამიტომ მესამე და მეოთხე ხარისხის შეღავათიანებიც სულ წაიყვანეს. მაინც დაკლდათ 177 კაცი წაიყვანეს 422 კაცის მაგივრად მხოლოდ 245 ახალგაზდა.

ვ. ნ.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

9 ნოემბერი.

პეტერბურგი, 8. 6 ნოემბერს გუსარის პოლკის დღესასწაულზე ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი სიტყვებით მიჰმართა პოლკს: „ლეიბ-გუსარები ყოველთვის ახარებდნენ შეფების გულს გულმოდგინე სამსახურით. ვიცი, მეც მემსახურებით ერთგულად და თავგანწირულად ამ მძიმე, არეულობის დროს, რომელსაც, ღმერთია მოწყალე, ბოლო მალე მოეღება. დარწმუნებული ვარ, რომ ლეიბ-გუსარების შთამომავლობა ესევე ერთგულად ემსახურება ჩემს შვილს, როგორც მსახურობდა ჩემი გვარდია და ჩემი გუსარები. მადლობას გიძღვნით, ბ-ნნო ოფიცრებო და აგრეთვე თქვენ, ძმებო, კეთილ სამსახურისათვის. ვსვამ სადღეგრძელოს ჩემი ლეიბ-გუსარის პოლკისას. ურა“.

პეტერბურგი, 8. გზათა მინისტრმა წინადადება მისცა რკინის გზების გამგეობის უფროსს: რკინის გზებზე დაბალ ხარისხის მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაუყოვნებლივ შემუშავებულ იქმნას ნორმალური ჯამაგირება, როგორც ეს ადგილობრივ პირობებს შეეფერება, გაუქმებულ იქმნას დანაშაულობისთვის დაჯარიმება, დაარსონ საამხანაგო სასამართლოები, ხელმეორედ განიხილონ წესები უფასოდ მისვლა-მოსვლისა, გააუქმონ ის დაბრკოლებანი, რომელიც უფასო ბილეთების მიცემას მოსდევს. წესების შემუშავებამდე დაუყოვნებლივ დააკმაყოფილონ მდგომარეობა იმ მოსამსახურეთა, რომლებსაც გზის გამგეობა ღირსად სთვლის.

ხარკოვი, 8. ქალაქის საბჭომ განუცხადა ერობისა და ქალაქების წარმომადგენელთა კრებას მოსკოვში: დარწმუნებულნი ვართ, რომ კრება მედგრად იბრძოლებს, მშვიდობიანად განახორციელოს დემოკრატიული კონსტიტუცია და საზოგადოებაში გაავრცელებს იდეას რეაქციის მავნებლობის შესახებ, ვისგანაც კი უნდა წარმოდგებოდეს იგი. საბჭო სასურველად სცნობს, რომ კრებამ მხარი დაუჭიროს მთავრობის იმ მოქმედებას, რომელიც მიმართული იქმნება 17 ოქტომბრის მანიფესტის განსახორციელებლად.

ვარშავა, 8. ბრონნის ქუჩაზე ეტლით მიდიოდნენ ორი მამაკაცი და ერთი ქალი და გზაზე მიმავალ პატრულს სროლა დაუწყეს. ჯარის კაცებმაც სროლით უპასუხეს, ორივე მამაკაცი მოჰკლეს, ხოლო ქალი დასჭრეს.

რიგა, 8. ქალაქის საბჭომ გუშინ გადასდო 10,000 მან. ოქტომბერში მომხდარ უწესოების დროს დაზარალებულთა დასახმარებლად.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 8. მაზრაში აგრარული მოძრაობა დაიწყო. გადასწვეს და გაძარცვეს რამდენიმე მემამულის სახლ-კარი. გამოწვეულია ჯარები. რამდენიმე აგიტატორი დაიჭირეს.

ასტრახანი, 9. ქალაქის საბჭომ დაადგინა, გამოუცხადოს სრული ნდობა ვიტტეს და რეფორმების განხორციელებაში მის პოლიტიკას მხარი დაუჭიროს. ეს დადგენილება საბჭომ აცნობა მოსკოვის კრებაზე გაგზავნილ ქალაქის წარმომადგენელს.

ვლადივოსტოკი, 8. ვლადივოსტოკში მომხდარ უწესოებათა შესახებ დეპეშაში რამდენიმე შეცდომაა. უწესოების დაწყებისათანავე მძიმე უღელი დააწვა განსაკუთრებით მეორე სტრელკების დივიზიის პოლკებს, რომლებმაც დაიფარეს სახელმწიფო დაწესებულებანი, ჩინეთისა და რუსეთის სახელმწიფო ბანკი, საზინა, ინსტიტუტი, გიმნაზია და სხვა და-სხვა გამგეობანი, რომლებიც გადარჩნენ განადგურებას ამ პოლკების მეოხებით და არა კაზაკებისა, რომლებიც მოვიდნენ მხოლოდ 31 ოქტომბერს, საღამოზე, როდესაც უწესოება უკვე მოსპობილი იყო. ვლადივოსტოკიდან გამოგზავნილ დეპეშაში გენერალ ყაზბეგს შეცდომით აწერეს წარმოდგენის გამართვა. სახალხო წარმოდგენა გაუმართეს მეციხოვნე ჯარებმა წითელ ჯვრის წარმომადგენლებს.

პეტერბურგი. 2-იდან 7 ნოემბრამდე გაფიცვების გამო შესდგა ახალი კავშირი — ლიგა მუშაობის თავისუფლებისა. კომიტეტი შეადგინეს ინჟინერთა კავშირის წევრებმა, რომლებიც კავშირიდან გამოვიდნენ უკანასკნელად მომხდარ გაფიცვის გამო. ლიგას აზრად აქვს, წინააღმდეგობა გაუწიოს გაფიცვებს და დახმარება აღმოუჩინოს მთავრობას სახელმწიფო საბჭოს საჩქაროდ მოწვევაში. საგანგებო სათათბიროში შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით დაადგინა, მისცეს 2,868,568 მან. 68 კ. საგუბერნიო საერობოებს, სარატოვისას — მილიონი, ორლოვისას — 300,000 მანათი, ხერსონისას — 716,267 68 კ.: სამაზრო საერობო გამგეობებს: მოკშანისას და სკოპინსკისას — 50,000 მ. თითოს, ბოგუჩარისას — 75,000 მ. ელიზავეტგრადისას — 220,800, სამარის გუბერნიის, ნიკოლაევის მაზრას — 300,000, ვოლსკისას — 150,000 მ.

უმანი, 9 ნოემ. გიმნაზიებში სწავლა დაიწყო.

ორიოლი, 9. პიტომშევის ვოლოსტის გლეხებმა მოისმინეს 17 ოქტომბრის უმაღლესი მანიფესტი და 3 ნოემბერს გადასდეს სამადლობელი პარაკლისი.

ოდესა, 9. დაარსდა ნოქართა კავშირი, რომელსაც მიზნად აქვს სარწმუნოების განურჩევლად შეერთდნენ ერთად და ეკსპლოატაციას ებრძოლონ. ქალაქის დარბევამ ხორბლის ფასებზე ძალიან იმოქმედა. ბირჟა ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. მრავალი ფირმა იკეტება. მრავალი ებრაელი საზღვარ-გარედ მიდის.

მოსკოვი, 9. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა საზოგადო კრებამ მოსკოვში დაადგინა: არ მიემხროს არც ერთს პოლიტიკურ კავშირს, ხოლო კანონიერად, 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით, მოითხოვოს ეკონომიურ მოთხოვნილებათა განხორციელება.

პეტერბურგი. მოკლე ხანში გამოაცხადებენ დროებითი წესებს მანიფესტებში აღიარებულ თავისუფლებანის შესახებ. სახელმწიფო საბჭო მოწვეულ იქმნება 1906 წლის თებერვლის გასულს.

ამ დღეებში კრიჟანოვსკისა, შიპოვსა და გუჩკოვს თათბირი ექმნებათ სახელმწიფო საბჭოში არჩევნების საკითხის შესახებ. კრიჟანოვსკი კლასობრივ პრინციპს აღიარებს, შიპოვი და გუჩკოვი — ტერრიტორიალურს. არჩევნების წესებს 20 ნოემბერს გამოაქვეყნებენ.

შემუშავეს კანონი რკინის გზებზე გაფიცვის შესახებ. პროექტით გაფიცვაში მონაწილეობის მიმღებნი სისხლის სამართალში იქმნებიან მიცემულნი.

არაყის მონოპოლიას გაადიდებენ კერძო პირთა და ამასთან გარდასახადს მოუმატებენ.

სასახლისა და საუფლისწულო სამინისტროს მოსამსახურეთა რიცხვს შეამცირებენ.

მოსკოვი, 8. ერობისა და ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე კამათი იყო იმ საგანზე, თუ რა დამოკიდებულება იქონიონ ვიტტეს სამინისტროსთან. ილაპარაკა 20 ორატორმა, პოლონეთის სახელით ილაპარაკეს დობროვოლსკიმ და ლედნიცკიმ. ისინი მზად არიან დამშვიდდნენ, თუ პოლონეთში სამხედრო და გაძლიერებულ დაცვის წესებს გააუქმებენ, დაბალ სასწავლებლებში თუ სწავლას პოლონურ ენაზე შემოიღებენ და უმაღლეს სასწავლებლებსა, მთავრობის და საზოგადო დაწესებულებებში თუ პოლონურ ენას აღადგენენ. ლედნიცკი ამტკიცებს, რომ პოლონეთს არა აქვს აზრად რუსეთს ჩამოშორდეს. სტახოვიჩი კრებას ურჩევს, მთავრობას გვერდში მიჰყვეს იმ პირობით, თუ სახელმწიფო საბჭოს არჩევნები საყოველთაო კენჭის ყრით მოხდება, არწმუნებდა კრებას, რომ სახელი „დამფუძნებელი კრება“ არ უნდა იხმარონ, ამის მაგივრად დაარქვან „წარმომადგენლობითი“ და ითხოვონ სიკვდილით დასჯის გაუქმება. თავადი ვოლკონსკი რიაზანიდან აფრთხილებდა კრებას გადამეტებულ მოთხოვნილებებს ნუ წარადგენთო. ორატორი წინადადებას იძლეოდა, თუ ვინიცობაა კრების უმრავლესობამ გარდასწყვიტა, მთავრობას არ მიემხრონ, ვინც თანახმა იქმნება, იმათ შეადგინონ ცალკე წრე და ვიტტეს სამინისტროს მხარი დაუჭირონ. ამ დროს საჭიროა მინისტრები და არა კრიტიკოსებიო. ორლოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლი: სტახოვიჩი კრებას ურჩევს, გულს ნუ [illegible], და მაგალითად მოჰყავს ფინლანდიელები, რომლებმაც შესწყვიტეს რევოლუცია, როგორც კი მთავრობა დასთანხმდა მათ სეიმის მოწვევას, ეხლაც სეიმის მოწვევას და სჯერათ. კრებას უნდა განიმეოროს ბიუროკრატიის შეცდომა, ის ყოველთვის უნდობლად ექცეოდა საზოგადოების ძალებს, ახლა საზოგადოება უნდობლად ექცევა მთავრობას. თავადი პავლე დოლგორუკი შემდეგ რეზოლუციას აძლევს კრებას: ვიტტეს სამინისტროს შეუძლიან იმედი იქონიოს დახმარებისა, სანამ ის ეცდება, ცხოვრებაში გაატაროს თავისუფალი კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული წესწყობილება. დანარჩენი ორატორებიც ამ აზრს განმარტავენ.

სმოლენსკი, 8. შესდგა ყველა უწყების მოხელეთა მიტინგი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. მიტინგმა შეიმუშავა საერთო კავშირის წესდებანი თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ უფლებების დასაცავად.

მოსკოვი, 8. მოსკოვის ბირჟის საზოგადოების წარმომადგენლებმა გრაფ ვიტტეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: მთელ რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო წოდება, მოსკოვის ბირჟის საზოგადოების პირით, თავის თავს მოვალედ სთვლის, გითხრათ თქვენ: გამაგრდით, მიიყვანეთ თქვენი საქმე ბოლომდის, სანამ სახელმწიფო საბჭო არ იქმნება მოწვეული, ამაშია რუსეთის ხსნა. უკიდურეს პარტიების მოთხოვნილებებმა მთავრობა არ უნდა შეაშინოს. რუსის ხალხს ჯერ ვერ შეუქმნია ძლიერი პარტიები, რომლებიც თქვენ დაგეხმარებიან, გვერწმუნეთ, რუსის ხალხი მხოლოდ თქვენში ჰხედავს ამჟამად იმ მოღვაწეს, რომელსაც შეუძლიან სახელმწიფოში თავისუფალი წესწყობილება დაამყაროს.

ცარიცინი, 8. ბირჟის კომიტეტმა დაადგინა, გამოუცხადოს ნდობა ვიტტეს და ახალ მთავრობას მხარი დაუჭიროს.

ყაზანი, 8. სამი კვირის გაფიცვის შემდეგ ასოთ-ამწყობები მუშაობას დაუბრუნდნენ. გაზეთები გამოვიდა.

სიმფეროპოლი, 8. საგუბერნიო საერობო მომავალი კრება განიხილავს პირველ-დაწყებით საყოველთაო სწავლის საკითხს.

პეტერბურგი, 9. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, სენატმა განმარტა, რომ პოლიტიკურ დანაშაულობისთვის სამართალში მიცემულთ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საბჭოს არჩევნებშიო. „ბირჟევია ვედომოსტი“ გადმოგვცემენ კობეკოს ნალაპარაკევს. კობეკოს განუცხადებია, საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა ახალი მოვლენაა, რომელიც მსოფლიოს სცენაზე რუსის პროლეტარიატმა წამოაყენაო. ის აწერებს ქვეყნის ცხოვრებას, ყველას უკიდურესს მდგომარეობაში აყენებს, მას მოსდევს სიმშილი და უწესოებაო. პრესსის მიერ გაფიცვების პროპაგანდა სასამართლოს გადაეცემა თუ არა — ამის ამ დღეებში განიხილავს კომისია.

პეტერბურგი, 9. გზათა მინისტრი მოითხოვს მინისტრთა საბჭოს 20 მილიონს სესხს რკინის გზაზე მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ლონდონი, 9. „ტაიმსი“ სწერს, უკანასკნელი საყოველთაო გაფიცვის მოთავეებმა პეტერბურგსა და პოლონეთში თავისი ძალები ვერ გაზომესო. როგორც ეტყობა, მცხოვრებთა მომეტებულმა ნაწილმა, მათ შორის მრავალმა მუშამ, კარგად შეიგნო, რომ საყოველთაო გაფიცვები მძიმე ტვირთად აწვება უფრო ღარიბ ხალხს, ვიდრე მდიდრებს.

მოსკოვი, 9. საერობო კრების ბიურომ განსახილველად შემდეგი რეზოლუცია წარმოადგინა: „კრებამ დაადგინა: კრების პირველ დადგენილებებში წამოყენებულია სწორედ ის მოთხოვნილებანი, რომელნიც ამჟამად მანიფესტით არიან აღიარებულნი. კრება, ეგებება რა სიხარულით მანიფესტს, საჭიროდ სთვლის, გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება მანიფესტთან. კრება სცნობს მანიფესტს იმით მოპოვებულ ძირითადს განძად, და რუსეთისა და საზოგადოების დასამშვიდებლად ერთად-ერთ საშუალებათ სთვლის, დღევანდელ პირობებში მანიფესტის განხორციელება სამინისტროს მოვალეობაა. კრება თავის მხრივ გამოსთქვამს თავის რწმენას, რომ სამინისტროს დაეხმარება და მხარს მისცემს ერობისა და ქალაქების მოღვაწეთ, თუ სამინისტრო განახორციელებს მანიფესტში მოხსენებულ კონსტიტუციონალურ საფუძვლებს. ერთად-ერთ საშუალებად, რომ უზრუნველ იყოს სახალხო წარმომადგენლობის ავტორიტეტი და რუსეთში წესიერება დამყარდეს, კრება სთვლის ხალხის წარმომადგენელთა საჩქაროდ მოწვევას საყოველთაო, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით“.

პეტერბურგი, 9. ოფიციალურად. გაძლიერებულ დაცვის წესები გამოცხადდა: კოვენსის, ჩერნიგოვის, ტამბოვის, კურსკის და პენზის გუბერნიებში, ბალაშოვის, სერდობის, პეტროვსკის, ატკარსკის და სარატოვის მაზრებში და ქალაქ სარატოვში.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

დაიწყო ხელის-მოწერა

რუსულ ჟურნალ „Вѣстникъ Донскаго Отдѣла Императорскаго Россійскаго О ва садоводства“-ზე ჟურნალში ირკვევა საკითხები მებაღეობისა, მევენახეობისა, მებოსტნეობისა, მეფუტკრეობისა და მცენარეთა მოშენების შესახებ. წელიწადში გამოვა 12 წიგნი. ფასი ორი მანათი. ხელის მომწერლებს პრემიად მიეცემათ სამი სურათი, იაჩევკისაგან დახატული. პრემიის გაგზავნი 40 კ. ადრესი: ნოვოჩერკასკი, იამსკი ქუჩა, № 11. (3—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 10 ნოემბერს გაწმენდილი იქმნება ის აუზი, საიდანაც წყალი ეძლევათ დიდუბეს, კუკიას, ჩუღურეთს, ვორონცოვის გზატკეცილს, ხარფუხსა და მტკვრის მარჯვენა მხარეს გოლოვინის პროსპექტამდის; კვირას, 13 ნოემბერს, საღამოზე გაიწმინდება ის აუზი, საიდანაც წყალი ეძლევათ მტკვრის მარჯვენა მხარეს: მთის კალთებზე გაშენებულ ნაწილს, გოლოვინის პროსპექტსა და განოვის ქუჩის ზევით, ოლგინისა, წყნეთისა და ახლო-მახლო ქუჩებს და მამადავითისა და ამაღლების მოედნებს, ავლაბარსა და ნავთლუღს. **ქალაქის გამგეობა სთხოვს მოქალაქეთ წინდაწინვე შეინახონ წყალი.** (3—6.—3,

მასწავლებელთა საყურადღებოდ.

დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ
ახლად შედგენილი

არითმეტიკული კრებული

პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით). ფასი ერთი აბაზი.

ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მანათზე აბაზი დაეთმობა.

საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“, ქაშვეთის ქ., სახლი არჯევანიძისა.

მისამართი: Книжный магазинъ „Цодна“.
(20—8)

სკოლა და სახელოსნო
ჭრა-კერვისა და ხელ. საქმისა
გადავიდა
მამადავითის ქუჩაზე, გრიგორაშვილის სახლებში
ბაღის პირდაპირ, № 5.

ვიღებ ქალთა ტანისამოსს შესაკერად, ვიყვან შეგირდებს ჭრა-კერვის და ხელსაქმის შესასწავლად ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

სამკერვალოს გამგე ანნა მერკვილაძისა.
(20—6)

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში
აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

осторожно! ჩუმად, გეთაყვა! ექ ჩვენც არ აგვწიონ!“)

კატო (შეუტევს დისწულს) თოქმი, თოქმი! რა მოგივიდა?!

შაქრო (მეტი-მეტი სიხარულისაგან გულამოვარდნილი) გაფიცვებმა გასჭრეს! — „მანიფესტი“ გამოსულა! (ყველანი, თვალებდაჭყეტილნი, ერთხმათ წამოიძახებენ: ,,ა... ა... ა!'') ეს არი, ეხლა გავიგე! ყველაფრის თავისუფლება! სიტყვის! კრების!

ყველანი (ელდანაკრავით) მოკვლისაც!!!

შაქრო (ხელის ქნევით) ეჰ! თქვენ სუ სიკვდილისა გეშინიათ! ,,შპიონებს'', конечно, არ დაგითმობენ! (ყველანი, უნებლიეთ, გადაფითრებულ თავ. მიშოს და ადაშვილს გადახედავენ) ჯერ მოვიდნენ ამხანაგები. თვითონ ისინი მოუველიან.

ყველანი (ელდა ნაკრავივით). განა უშვებენ?

შაქრო (სიხარულით) მაშ, მაშ. ,,ამნისტია'' გამოუცხადეს. (ყველანი ერთმანეთს ჩურჩულს დაუწყობენ: „ვაი ჩვენი ბრალი ახლა — უარესს იზამენ.)

შაქრო (დაცინვით). თქვენ როგორღაც არ გიამათ! (იქით) რა საგილიოტინე მასალაა! (ყველანი გონს მოვლენ და ფარისევლათ მოჰყვებიან: „ნურა აამოსხრა მამა ზეციერმა, ვისაც იმათი დაჭერა უხაროდა! იცის ღმერთმა, როგორ ვიტანჯებოდი იმ საცოდავებისათვის! ბეჩა, ენა ადვილად იტყვის! იიჰ! რას ბრძანებთ, გენაცვალე, იმათი დედის ცოდვით ვიწოდი! მართლა, ისეთიც რა დააშავეს?!“).

თავ. მიშო. какой ,,დააშავე!'' ისინი ქრისტესავით, ხალხისთვის თავი გადასდეს! (ისმის ხმები: ,,სახელი გაუწყდეს იმათ მწვალებელს?!'')

თავ. ნიკო. მაგ ოხერმა ,,ნაჩალნიკმაც'' მეტი-მეტათ აუჭარა და არც ეგრე იქნებოდა! ბავშვების დამწყვდევა და ციმბირი სად გაგონილა?! (ისმის ხმები: ,,ეგა ბძანე! ნეტა ისე კარგები მაინც არა ყოფილიყვნენ!!.)

ტასო. да, да! სუ ჰკვიანები! ნასწავლები! (ისმის ხმები: ,,პირში რძე ამოსდიოდათ, — უწყინარები!'').

კნ. ნინო. ნეტა ისე არ შემყვარებოდნენ! დასწყევლა, რა გული მაქვს!

გრიქორა (ბარბაროვს) რას ამბობ, კაცო! იმათთანა „რაზვიტიე'' ერთიც არ იყო აქა! სწორეთ ამაზე იტყვიან: ,,ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანიო'! — ვიღაა ჩვენი პატრონი.

ადაშვილი. Помилуйте, лучшій цвѣтъ молодости. ჩვენი იმედნი, მომავალნი ბურჯნი.

ტასო (შაქროს). მერე ჩემ ქმარს როგორ უყვარს ახალგაზდობა.

ბარბაროვი (ხელების სრესით). Ну-съ, ეხლა კი, რაც, наконецъ то, მოვიპოვეთ თავისუფლება, შეგვიძლიან კონსტიტუციის სადღეგრძელო დავლიოთ. სავსე სტაქნით, სავსე სტაქნით, молодой человѣкъ, ,,ალლავერდი'' къ вамъ, (შაქროს სტაქანს სტაქანზე მიუხეთქებს) მოიცა, ,,მარსელიეზასაც'' ვიმღერებ, ხა, ხა, ხა, (მაგიდაზე ხელს დაჰკრავს და ხმა-დაბლა). я самъ страшный революціонеръ, სტუდენტობის დროს ცხრაჯერ ვიჯექ ციხეში.

თავ. მიშო. (სავსე სტაქნით) Господа! გლეხებსაც ნუ დავივიწყებთ! ეს ღმერთმა ის აცოცხლოს, ვისი მარჯვენითაც ვცხოვრობთ!

გრიქორა. აი, ეგ არი კარგი! რაც მართალია, მართალია! (ხმა-დაბლა შაქროს) მე ესე კი ნუ მიცქერი! я самъ первый сацвіалистъ! სისხლი ყელში მომდიოდა, ეკლესიის ქონება რო ჩამოგვართვეს! მაშ! როცა იმ ხალხისთვის ფული გინდოდეს, ჩემთან მოდი ხოლმე! всѣмъ сердцомъ и душомъ! (უფრო ხმა-დაბლა) ,,შპიონებსაც'' მე მოგასწავლი... აი, დერძიმოვს რას იცნობ? — ასეთი იუდაა, რომ, იმის მოკვლა რათაც უნდა, ღირს. (დერძიმოვი ამის პირადი მტერი იყო).

თავ. მიშო (განზე გაიყვანს შაქროს და თავს აბრალებს)

კნ. ნინო (მივა ამათთან და ხმა მაღლა) რა ამბავია? რევოლუცია როდის დაიწყობა? გენაცვა, სწორე მითხარი: ჩვენ ხო არას გვერჩიან? (ტირილის ხმით) აი, ეს ოცი მანეთიც კამიტეტს გადაეცი, გეთაყვა. (შაქროს ფულს აძლევს)

ადაშვილი (მკლავში ხელს გაუყრის შაქროს და განზე გაიყვანს) უნდა როგორმე მოვახერხოთ, რო აქაურ ციხიდანაც გამოუშვან ხალხი! ნეტა ეს „გალავა“ რას აკეთებს? — ახ, მე ვყოფილიყავ! თხოვნას თხოვნაზე მივართმევდი, მაგრამ, აბა, ეხლა რა შემიძლიან? ისედაც ცალი თვალით მიცქერიან... собственно, ჩემი რწმენის გამო დამითხოვეს სამსახურიდან... ბიუროკრატები რო მეჯავრებოდნენ, ცუდი ხმაც გამივრცელეს... это все полицейская утка! მე ვაჩვენებ მაგათ!

ტასო (რომელიც ორი წუთის წინათ მიუახლოვდა ამათ) ო...ო! ჩემი ქმარი ისეთი ლიბერალია! ფი... იფ! (ზიზღით) უხ! გული მერევა ამათში, მაგრამ რას იზამ?! ღმერთს ვეფიცები, შვილები რო არა მყავდეს, მეც თქვენში ჩავეწერებოდი! პირველი მე გავიტანდი წითელ ბაირაღს! Ахъ, какая душка была Софія Перовская! (ქმარი და ცოლი თავს იქნევენ) უხ! უხ! прелесть!

ბარბაროვი (შაქროს უყვირის) молодой человѣкъ! აბა, დავიწყოთ „მარსელიეზა“! ისმის ხმები: „ჯერ ნამდვილათ გაიგეთ, მართლა თავისუფლებაა?! — ექ არაფერი შეგვეთხვეთ! „პატრულები“ დადიან). Нѣтъ, როცა ,,მანიფესტი'' გამოსულა, ხელს არ გვახლებენ!“ მღერის „Отречемся отъ стараго мі... ра!“ სხვებიც, ვინც კი იცის, ბანს აძლევენ.

—

მეორე დღეს კი, როცა ტფილისიდან 22 ოქტომბრის ხალხის ხოცვის ამბავი მოვიდა, ყველა ეს ზემოთ აწერილნი პირნი, გარდა შაქროსა, ასე ამბობდნენ: ,,ვერ მიართვეს ბადრიჯანი! მა რა ეგონათ? მართლა თავისუფლებას მისცემდნენ! დიახ! ელოდნენ. კინაღამ ჩვენც შეგვატყდნენ. არა, შვილო, როგორც გვიწერია, ისევე ვწეროთ ..

ბზიანი

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.